# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 24 სექტემბერი 2003 №180 (1951) ფასი 50 თეთრი


# დღეს უეფა გახოკიძისთვის მოიცლის



## გოგა გახოკიძე

შესაძლოა, ფედერაციამ ფაქტი გააზვიადოს და უეფამაც ზედმეტად მკაცრი გადაწყვეტილება მიიღოს

## გიორგი ნემსაძე

ნაკრებში კონფლიქტი ადრეც მომხდარა, მაგრამ ყველაფერი შერიგებით დამთავრებულა



ინტერვიუები გოგა გახოკიძესთან და გიორგი ნემსაძესთან იხილეთ მესამე გვერდზე

## ფახულიას ამერიკულ ცხოვრებას ასწავლიან



## წესი №1 ერიდე ქალს

ინტერვიუ ზაზა ფახულიასთან იხილეთ მეცამეტე გვერდზე




ალიაქოთი ვიეირა-ნისტელროის გამო მთელი ინგლისი საქმეს არჩევს

## ფრენკ ბრუნო მაგრად აიჭრა

მსოფლიოს ექსჩემპიონი საგიჟეთში გააქანეს





## გიო ახვლედიანი ლონდონიდან



## ბექემი სამხრეთელი კაცივით იქცევა ცოლის ჭკუაზე აღარ დადის



# მუჯირი თავსაფრიან დედაქალაქში
## იქ, სადაც ღმერთი ალი დაეია

*ისპაჰანის „სეპაჰანი" ირანის ჩემპიონი გახლავთ, რომელშიც საამსეზონოდ ჯაბა მუჯირი გადავიდა „ვიტჯორჯიადან". მოგვიანებით „სეპაჰანს" კიდევ ერთი ვიტჯორჯიელი, ნახევარმცველი კახა ახალაძე შეუერთდა. 23 წლის ჯაბა მუჯირი მარცხენა მცველი გახლავთ, მას თავის დროზე თვრამეტწლამდელთა და ახალგაზრდულ ნაკრებებშიც უთამაშია. ჯაბას გუშინ ისპაჰანში დავურეკეთ და რაც სპარსეთში წავიდა, პირველი ინტერვიუც ჩამოვართვით*



მურაზ ლოლიაშვილის ფოტო

— როგორ აღმოჩნდი „სეპაჰანში"?

— ჩემი ახლობელი ვალერი კობახიძე ირანელ მენეჯერს დაუკავშირდა და ტრანსფერიც შედგა. მომეწონა „სეპაჰანის" მიერ შემოთავაზებული პირობები — კონტრაქტს მყის მოვაწერე ხელი, გასინჯვისთვის მინდორზე გასვლა არ დამჭირვებია.

— ირანელებმა საქართველოში არსებულ პირობებზე გაცილებით უკეთესი შემოგთავაზეს?

— ირანში ბევრად უკეთესი პირობებია და თანაც გრძნობ, რომ ფეხბურთელი ხარ — თამაშებზე ბევრი გულშემატკივარი დადის, ხალხი ქუჩაში გცნობს — ასეთ რამეს საქართველოში ვერ შეიგრძნობ.

— „ისპაჰანის" საშინაო მატჩებს საშუალოდ რამდენი გულშემატკივარი ესწრება?

— სტადიონი ქალაქგარეთაა, მაგრამ სულ მცირე, ათი ათასამდე კაცი ყოველ თამაშზე დადის. თანაც სტადიონი მშენებლობის პროცესშია — პირველ იარუსს მალე მეორეს დაადგამენ. თეირანში იქაური გუნდების მატჩებზე კი საშუალოდ 20 ათასი კაცი გროვდება, თუ პრინციპული თამაშია, კიდევ უფრო მეტი. მალე ასეთი მატჩი ჩვენც გველის თეირანის „ფირუზისთან" — ამ გუნდში ალი დაეი თამაშობს.

— **ოთხი ტურის შემდეგ „სეპაჰანი" თოთხმეტგუნდიან სპარსულ ლიგაში ახლა მე-8 ადგილზეა...**

— ეს ჯერ დასაწყისია. „სეპაჰანი" წინა სეზონში ჩემპიონი გახდა — ირანული ფეხბურთის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ქვეყნის ჩემპიონატი არათეირანულმა გუნდმა მოიგო. ირანის ფეხბურთის ფედერაცია კი სულ იმას ცდილობს, ჩემპიონი თეირანის რომელიმე გუნდი გახდეს.

— **როგორი ქალაქია ისპაჰანი, როგორ ეგუები მანდ ცხოვრებას?**

— ისპაჰანი თბილისზე დიდი ქალაქია, მოსახლეობა ხუთ მილიონამდეა. ძველი ქალაქია, ახლა შაჰ-აბაზის დროს ირანის დედაქალაქიც იყო. შაჰ-აბაზის სასახლეში ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა, სხვა სასახლეები და მუზეუმებიც მრავლად არის.

— **გუნდში როგორ მიგიღეს?**

— საკმაოდ კარგად. საერთოდ, აქ ძალიან თბილი ხალხია. კლუბის ხელმძღვანელობა სულ იმას ცდილობს, რათა მასიამოვნოს. ახლახან ჩემი ოჯახის წევრები იყვნენ ჩამოსულები და კლუბის პრეზიდენტმა ვახშამზე დაგვპატიჟა შაჰ-აბაზის სასახლეში.

— **გასაგებია, მაგრამ ირანი ისლამური სახელმწიფოა თავისი მკაცრი წეს-ადათებით...**

— გარედან მართლაც მკაცრი ქვეყანა ჩანს, მაგრამ მთლად ასეც არაა საქმე — რაც აკრძალულია, ყველაფერი ხელმისაწვდომია. თვითონ ირანელებიც არაფერს არ იკლებენ. ისპაჰანი კიდევ შედარებით რელიგიური ქალაქია, თეირანში კი, ფაქტობრივად, არანაირი შეზღუდვა არ არის. რესტორანში ალკოჰოლს ვერ შეუკვეთავ, მაგრამ აქაურები თავიანთ სახლებში აწყობენ წვეულებებს და არ არსებობს, რომ მათ იქ ვინმე აკონტროლებდეს. ირანი 70 მილიონიანი ქვეყანაა და ძალიან ძნელია მისი რაღაც ჩარჩოებში მოქცევა.

— **ქალების უმეტესობას ჩადრი აქვთ აფარებული?**

— ჩადრით მხოლოდ წლოვანი ქალები დადიან, ახალგაზრდებს კი ოდენ თავსაფარი აქვთ შემოკრული. ამის თაობაზე თავის დროზე სტუდენტთა დემონსტრაციებიც კი ყოფილა ირანში და ახალგაზრდა მანდილოსნები ახლა ჩადრს აღარ იფარებენ.

— **ქალები სტადიონზე არ დადიან?**

— არა, თამაშებზე ქალს ვერ ნახავთ. სტადიონზე კაცები იგინებიანო და ქალებიც იქ ვერ მიდიან. ისე, მამაკაცები ერთმანეთში თითქმის არ იგინებიან. თუ ვინმეს რაიმე უწმაწური წამოცდება, ხელზე პირს იფარებს, ძალიან ზრდილობიანები არიან, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ გინება არ იციან — გინება სპარსელებს ლექსებად აქვთ, მაგრამ ძალიან ერიდებიან.

— **მანდ მცხოვრებ ქართველებს თუ შეხვდი?**

— ირანში მოსახლეობა საკმაოდ ინტერნაციონალურია. აქ ბლომად ცხოვრობენ სომხები, თურქები, არიან აზერბაიჯანელებიც. ფერეიდნელი ქართველები გავიცანი, რომლებმაც თავისთან მიგვიპატიჟეს მე და კახა ახალაძე. ისინი ირანში ძალიან შევიწროებულნი არიან — ქართული ეკლესია ირანში არ არის, სომხებს კი სომხური ეკლესია აქ რამდენიმე აქვთ. ქართველებს ირანში სკოლაც არ გააჩნიათ, თუმც ახლახან ფერეიდნელებმა საზაფხულო სკოლა მაინც გახსნეს — ჩვენს შთამომავლობას ქართული წერა-კითხვა არ დაავიწყდესო. ირანის პოლიცია მყის მისულა იმ სკოლაში და იქაურობა კარგად დაუთვალიერებია — აქ რა გაგიკეთებიათო, თუმც სკოლა არ დაუხურავთ.

— **ირანში ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი ვინაა?**

— ალი დაეი აქაურთა ღმერთია, ძალიან პოპულარულია „ჰამბურგში" მოთამაშე მეჰდი მაჰდავიკიაც. დაეის ირანში საფეხბურთო ნაწარმის ფაბრიკა აქვს და ჩვენი გუნდიც ამ ფირმის პროდუქციის მომხმარებელია.

— **სპარსულ ლიგაში ბევრი ლეგიონერია?**

— საკმაოდ, უმეტესწილად სომხები და აზერბაიჯანელები. „ფირუზიში" ხორვატი მეკარეც ჰყავთ და მწვრთნელიც ხორვატია.

— **ჯაბა მუჯირის დებიუტს როდის უნდა ველოდოთ სპარსულ ლიგაში?**

— სეზონისწინა შეკრებაზე იტალიაში, ნორჩაში ვიყავით და მერე ოთხთა ტურნირი გვქონდა თეირანში — პირველივე შეხვედრაში ტრავმა მივიღე, მუხლის გვერდითა მყესი გამიწყდა. ორი კვირაა, რაც მსუბუქად ვვარჯიშობ, სრულ დატვირთვებს კი ორ კვირაში შევუდგები და თამაშსაც მერელა შევძლებ.

**დავით თავართქილაძე**

# არჩევნებმა ჟორდანიას ლანჩხუთის ვალი გაახსენა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ საარჩევნო კამპანია დაიწყო. მან ლანჩხუთში, თავისი მშობლიურ ქალაქში წარადგინა თავის კანდიდატურა და უკვე მრავალი მხარდამჭერიც შეიძინა. მერაბ ჟორდანია ლანჩხუთიდან გუშინწინ დაბრუნდა, სადაც ის სამი დღით სტუმრობდა და ამომრჩევლებს ხვდებოდა.

— საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა კი მქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ვერ გადამეწყვიტა — გვითხრა ფედერაციის პრეზიდენტმა — საბოლოოდ ისე მოხდა, რომ საინიციატივო ჯგუფმა თავად მოაწესრიგა დეპუტატობის კანდიდატად ჩემი წარდგენისთვის საჭირო ყველა საბუთი და საარჩევნო კომისიას აახლა. ლანჩხუთის, ჩემი მშობლიური ქალაქის წინაშე მე და ჩემი გვარი, ვფიქრობ, ვალში ვართ და ამიტომაც გადავწყვიტე, სწორედ ამ ქალაქში ვიყარო კენჭი. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი სიკეთის მოტანა შემიძლია ამ კუთხისთვის. გარდა ამისა, ფეხბურთისთვის იქნება საჭირო ჩემი პარლამენტარობა, ხელისუფლებასთან უფრო ახლოს ვიქნები და ჩემი იქ ყოფნით, ვიმედოვნებ, ქართული ფეხბურთის ბევრ საჭირბოროტო საკითხის სწრაფად და დადებითად გადაწყვეტას დავაჩქარებ.

— **დამოუკიდებელ კანდიდატად კენჭისყრა რატომ გადაწყვიტეთ?**

— სხვათა შორის, იმ პარტიებიდან, რომლებიც ქართულ პოლიტიკაში დღეს ამინდს ჰქმნიან, რამდენიმემ თავისი სიის პირველ ათეულში შემომთავაზა ადგილი და დამეთანხმებით, არჩევნებში ამ გზით გამარჯვების მეტი შანსი მექნებოდა, დეპუტატობის კანდიდატად წარდგენილი ვიქნებოდი პარტიული სიითაც და მაჟორიტარადაც, მაგრამ ყველას, ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, უარი ვუთხარი. მიმაჩნია, რომ პარლამენტში ქართული ფეხბურთის წარმომადგენელი აბსოლუტურად დამოუკიდებელი უნდა იყოს.

— **დარწმუნებული ხართ გამარჯვებაში?**

— ყველა ჩემს კანდიდატს დიდ პატივს ვცემ, ყველა ღირსეული პიროვნებაა, თუმც, რა თქმა უნდა, გამარჯვების დიდი იმედი მაქვს. ლანჩხუთში —„გურიას" შემადგენლობაში 50 მატჩი მაქვს ჩატარებული. აქედან 49 „გურიამ" მოიგო, ერთი კი, ზაპოროჟიეს „მეტალურგთან" ფრედ ითამაშა. ასე რომ, ლანჩხუთში ჯერ არ დავმარცხებულვარ.

**ქობა ინასარიძე**

### ინგლისი

**კონფერენსლიგა. X ტური**

არინგტონი 3:1 ბარტონი
ალდერშოტი 2:0 ფარნბორო
ჩესტერი 4:0 ნორსვიჩი
ფორესტ გრინი 2:2 უოკინგი
ჰერეფორდი 2:1 ტელფორდი
მარგეიტი 0:1 ბარნეტი
მორეკემბი 1:0 ლეიფი
შრიუსბერი 2:0 ჰალიფაქსი
სტივენეიჯი 2:2 გრეივსენდი
ტემუორთი 0:0 სკარბორო
ექსეტერი 1:1 დაგენემი

**ლიგის თასი. II ეტაპი**

სკანთორპი 2:3 *ბარნსლი*
*ბლეკპული* 1:0 ბირმინგემი
*ბრისტოლი* 1:0დ.დ.(0:0) უოტფორდი
კარდიფი 2:3 *ვესტ ჰემი*
ჰარტლპული 1:2 *ვესტ ბრომვიჩი*
*ლესტერი* 1:0 ქრიუ
*ნორსი* 2:1 იფსვიჩი
*პორტსმუთი* 5:2 ნორთჰემპტონი
*როტერჰემი* 1:0 კოლჩესტერი
შეფილდი 0:2 *ქუინზ პარკი*
სტოკი 0:2 *ჟილინგემი*
ტრანმერი 0:0(პენ.1:4) *ნოტინგემი*
*უოლზი* 2:0 დარლინგტონი
უიკომბი 0:5 *ასტონ ვილა*
*ჩარლტონი* 4:4დ.დ.(პენ.4:3, 3:3) ლუტონი
*კრ. პალასი* 2:1 დონკასტერი
სანდერლენდი 2:4 *ჰადერსფილდი*
*უიგანი* 1:0 ფულემი

### ირლანდია

**პრემიერლიგა XXII ტური**

ლონგფორდი 0:1 კორკი
დროჰედა 0:1 შელბურნი
ბოჰემიანსი 2:1 შემროკ როვერსი
სენტ პატრიკსი 2:2 დერი სიტი
დუბლინი 3:0 უოტერფორდი

### იაპონია

**ჯეი ლიგა XXI ტური**

კობე 1:1 იოკოჰამა
ურავა 2:2 იჩიჰარა
ტოკიო 1:2 ივატა
შიმიცუ 0:0 ოიტა
ნაგოია 3:1 სერეზო
კაშიმა 1:1 კიოტო
კაშივა 1:0 სენდაი
გამბა 2:2 ვერდი

### იტალია

**სერია B. გადადებული I ტური**

ალბინოლეფე 1:1 ლივორნო
აველინო 1:3 ტორინო
ბარი 1:2 ტერნანა
კალიარი 3:0 ასკოლი
კომო 1:1 პესკარა
ფიორენტინა 1:1 ატალანტა
ჯენოა 0:0 ტრევიზო
მესინა 1:1 ტრიესტინა
პიაჩენცა 1:0 ვიჩენცა
სალერნიტანა 1:1 პალერმო
ვენეცია 0:3 კატანია
ვერონა 1:1 ნაპოლი

### შოტლანდია

**ლიგის თასი II ეტაპი**

*კლაიდი* 2:1 ერდრი
*დანდი იუნ.* 3:1 მორტონი
*ქუინზ პარკი* 1:3 *ლივინგსტონი*
*აბერდინი* 3:1 დამბარტონი
არბროთი 3:4დ.დ.(2:2) *ფოლკირკი*
*ბრეჩინი* 1:0 კილმარნოკი
*ფორფარი* 3:3დ.დ.(პენ.4:2, 2:2) მოზერუელი
*ჰიბერნიანი* 9:0 მონტროუზი
როსი 0:3 *ქუინი*
*სენტ ჯონსტონი* 3:2დ.დ.(2:2) ჰამილტონი

### შვედეთი

**ალსვენსკან. XXII ტური**

ლანდსკრონა 0:3 ჰელსინგბორგი

**სუპერეტან. XXV ტური**

ჰეკენი 2:1 ატვიდაბერგი

### საფრანგეთი

**ლიგის თასი. I ეტაპი**

*ბოვე* 1:0 გრენობლი
*კლერმონი* 3:0დ.დ.(0:0) ნიორი
*ისტრი* 1:0 შატორუ
ლავალი 0:2 *გენიონი*
*ლორიანი* 0:0(პენ.3:0) ბეზანსონი
*ნიმი* 4:2დ.დ.(2:2) ლე ავრი
*სედანი* 0:0(პენ.5:4) რეიმსი
*ტრუა* 2:0 კაენი
*ვალანსი* 1:0 ანჟერი
ვასკეალი 1:2 *კრეტეი*

### ჰოლანდია

**ამსტელის თასი II ეტაპი**

აპელდორნი 0:2 *ვალვაიკი*
იგლსი 3:5 *ტელსტარი*
*ვიტესი* 4:0 სიტარდი
ჰაარლემი 1:2 *კამბური*
*ექსელსიორი* 2:0 ვენლო
*სპარტა* 2:1 გრააფშხაპი
*ჰერაკლესი* 4:0 დენ ჰააგი
*როზენდალი* 4:0 მაასტრიხტი
ემენი 1:2 *ეინდჰოვენი*
*დენ ბოსხი* 2:1 ზვოლე
*ჰერენვენი* 3:1 ალკმაარი

### ავსტრია

**თასის II ეტაპი**

დონაუ ლინცი 0:3 *შტურმი*
ბად ბლაიბერგი 0:4 *რიდი*
შვანენშტადტი 2:4დ.დ.(2:2) *ტიროლი*

# კაპიტნის სიტყვა

## ასეთი ადრეც მომხდარა, მაგრამ...

*დღეს გიორგი ნემსაძის „დანდი“ საევროტურნირო ჭაპანს დაეჭიდება — შოტლანდიელთა მეტოქე იტალიური „პერუჯაა“. ნემსაძეს დანდური ამბების გარდა ეროვნულ ნაკრებზეც ვესაუბრეთ*

— „პერუჯასთან“ მატჩის წინ განსაკუთრებული განწყობაა, რაც ქალაქშიც იგრძნობა — ყოველივე ეს ჩვენზე, ფეხბურთელებზეც მოქმედებს — „დანდი“ რამდენიმე ათეული წელია, რაც ევროტურნირებზე



არ მოხვედრილა — რაც იშვიათია, ის ძალიან ძვირად ფასობს და კარგად გვესმის, თუ რა მნიშვნელოვანი თამაში გველის.

**— „დანდის“ ახალი, იტალიელი შენაძენი ფაბრიციო რავანელი „პერუჯასთან“ ითამაშებს?**

— არა. რავანელიმ დღეს პირველად ივარჯიშა გუნდთან ერთად. მანამდე, სამი თვე ის მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობდა. რავანელი ვერც შაბათს დაგვეხმარება „რეინჯერსის“ წინააღმდეგ და პერუჯაშიც ვერ გავა მოედანზე.

**— „პერუჯაზე“ რა გითხრათ რავანელიმ?**

— რავანელის ველაპარაკე და მითხრა, „პერუჯას“ ორი ძალიან კარგი, ტანმაღალი ფორვარდი ჰყავს და ძალიან აქტიური ნახევარმცველებიო, „პერუჯამ“ მიმდინარე სერია A რიხით ვერ დაიწყო, მაგრამ ბოლო შეხვედრაში „მილანთან“ კარგად ითამაშაო.

**— თითქმის ორი თვეა, რაც „დანდის“ ახალი დირექტორი ჰყავს— ჯოვანი დი სტეფანო...**

— ის საქმის კაცია, მისი ხელი „დანდის“ ნამდვილად დაეტყო — კლუბში ფინანსური პრობლემები აღარ არის. დი სტეფანოს ფეხბურთელებთან თბილი ურთიერთობა აქვს, ყველანაირად ხელს შეგიწყობთო.

**— გიორგი ქინქლაძის „დანდიში“ გადასვლა რეალური აღარაა?**

— კლუბი რავანელის შეძენით იყო დაკავებული და ახლა ალბათ ქინქლაძის საკითხიც გაირკვევა.

**— ნაკრებზეც ვთქვათ, მორიგ ჩაგდებულ ციკლს რუსეთთან თამაშით ვასრულებთ...**

— რაოდენ მძიმე მდგომარეობაშიც არ უნდა ვიყოთ, ყველაფერი უნდა დავივიწყოთ — რუსეთის წინააღმდეგ თამაში დიდი პასუხისმგებლობაა ყველა ქართველისთვის — რუსეთთან კიდევ ერთი გამარჯვება დიდი სიამოვნების მომგვრელი იქნება ჩვენი გულშემატკივრებისთვის. ტირანაში გუნდის თამაში კი უმსგავსობა იყო — შინ 3:0-ის მოგების შემდეგ ჯგუფიდან გასვლის იმედი მყისვე მოვსპეთ.

**— ნაკრების კაპიტანი ხარ და გოგა გახოკიძესთან დაკავშირებულ ინცინდენტზე რას იტყოდი?**

— ამ ინცინდენტის შემდეგ გოგასთან არ მილაპარაკია. ვფიქრობ, ყოველივე ნერვების ვერმოთოკვის გამო მოხდა. იქით მერაბი იყო ძალიან განერვიულებული — იმედის შემდეგ უცბად გაწბილება შეგვხვდა. მსგავსი ფაქტები გუნდში ადრეც მომხდარა, თუმც გუნდის ხელმძღვანელობასთან არა. ნაკრების ფეხბურთელებში მანამდე მომხდარი წაკინკლავებები, შერიგებით და გადაკოცნით დამთავრებულა. მაგრამ ეს ინცინდენტი ტელევიზიით ყველამ ნახა, რამაც სიტუაცია გაამძაფრა. გასახდელში კი ხმამაღალი ლაპარაკი იყო, სხვა არაფერი.

**დავით თავართქილაძე**

*უეფას სადისციპლინო კომიტეტი დღეს ჰოლანდიური „ტვენტეს“ ქართველი ნახევარმცველის, გოგა გახოკიძის საკითხს განიხილავს. მიზეზი 10 სექტემბერს ტირანაში, ალბანეთ — საქართველოს მატჩისას მომხდარი ფაქტია: ჩვენების სათადარიგოთა სკამზე ატეხილი ჩხუბისთვის არბიტრმა გახოკიძე გააძევა. ამ ამბავს, როგორც ნაკრების მწვრთნელი მერაბ ჟორდანია ამბობს, გაგრძელება ნამატჩევს, გასახდელშიც მოჰყვა, თუმცა კი დეტალებზე საუბარს — რა მოხდა სათადარიგოთა სკამზე თუ გასახდელში — ფაქტის შემსწრენი თავს არიდებენ. არაფერს ამბობს გოგა გახოკიძეც, არაფერს ამბობენ ნაკრების წევრები*



# გოგა გახოკიძე გაუზვიადებელ სასჯელს ელის

*ფეხბურთის ფედერაციამ გახოკიძე თავისწილად უკვე დასაჯა. გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას თქმით, გოგა სანაკრებო შემადგენლობიდან გამოყვანილია. ფედერაციამ ეს წერილობით უკვე აცნობა უეფას სადისციპლინო კომიტეტსა და ფეხბურთელის კლუბს — „ტვენტეს“. დღეს კი თავის სიტყვას ალბანეთ — საქართველოს მატჩის მსაჯის პატაკისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახსნა-განმარტებითი ბარათის საფუძველზე უეფა იტყვის.*

*რა სასჯელი ელის გოგა გახოკიძეს, ეს ჯერ არც უეფაში იციან, სადისციპლინო კომიტეტის წევრები დღეს შეიკრიბებიან და მომხდარზე იმსჯელებენ. რა თქმა უნდა, მოსალოდნელ სანქციაზე არაფერი იცის არც თავად ფეხბურთელმაც, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით.*

**— როგორ ფიქრობ, როგორი იქნება უეფას სანქცია?**

— ვერაფერს ვიტყვი. უეფას გადაწყვეტილება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაზეცაა დამოკიდებული. არ ვიცი, ფედერაციამ და მატჩის მსაჯმა მომხდარზე რა თქვეს და უეფას რა ინფორმაცია როგორ მიაწოდეს.

**— რას ნიშნავს, ინფორმაცია როგორ მიაწოდეს?**

— შესაძლოა, ფაქტი გაზვიადებული იყოს და უეფამაც ამის შესაბამისი, ზედმეტად მკაცრი გადაწყვეტილება მიიღოს.

**— მაინც რა უნდა იყოს გაზვიადებული?**

— ვერ გეტყვით. რაც ტელევიზორში გამოჩნდა, იმის მნახველი ალბათ მე გამამტყუნებს, მაგრამ ვინ რა იცის, იმ დროს, თუნდაც ახლა ჩემს გულში რა ხდება. შორიდან მაყურებლისთვის იოლია მტყუან-მართალზე ლაპარაკი, საქმის გარჩევა. იქ უნდა ყოფილიყავი, ჩემი რომ გაგეგო, თორემ შორიდან ყველაფერი სხვანაირად ჩანს.

**— და მაინც, აღარ იტყვი, რა მოხდა იმ დღეს?**

— მოდით, ამაზე არ ვილაპარაკოთ.

**— ფეხბურთის ფედერაციას წერილი „ტვენტეშიც“ გამოუგზავნია...**

— კი, ეს წერილი ახლა მე მაქვს, კლუბის ხელმძღვანელობამ წაიკითხა და გადმომცა.

**— რა წერია?**

— წერია, რომ ნაკრების ადმინისტრატორთან ვიჩხუბე და რალაც ამგვარები.

**— გუნდში რა გითხრეს, წერილს როგორი რეაქცია მოჰყვა?**

— არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია. ხელმძღვანელობამ დამამშვიდა, კარგად ვიცით, რაც მოხდაო.

**— არ ფიქრობ, რომ შესაძლოა, უეფას სანქციამ შენს საფეხბურთო კარიერაზე ცუდად იმოქმედოს?**

— რატომ უნდა იმოქმედოს?

**— იქნებ თამაში აგიკრძალონ?**

— ალბათ საქართველოს ნაკრებში მომცემენ რამდენიმემატჩიან დისკვალიფიკაციას.

**— კლუბში?**

— არა მგონია, კლუბი რა შუაშია.

**ქობა ინასარიძე**

*ვრონკის „ამიცა“ და მამია ჯიქია პოლონეთში ლიდერობენ. ახალი სეზონი „ამიცამ“ შედეგიანად დაიწყო და ექვს ტურში თხუთმეტი ქულით სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა. მართალია, ქართველი ნახევარმცველი ძველებურად ხშირად ველარ თამაშობს გუნდის ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ ექვსთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ეს გასაკვირი არ უნდა იყოს. გუშინ მამია ჯიქიას პოლონეთში შევეხმიანეთ...*



# ჯიქიას ფეხი არა, მაგრამ სკამი აწუხებს

— „ამიცა“ პირველ ადგილზეა. ცოტა არ იყოს, მოულოდნელი შედეგია...

— აქაც ძალიან უკვირთ ჩვენი ლიდერობა კი ვიცოდი, რომ გუნდი კარგად იყო მომზადებული და ასეთი წარმატება დიდად არც გამკვირვებია, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჯერ ძლიერი მეტოქე არ შეგვხვედრია. სუსტ გუნდებს შევხვდით და ქულებიც ბლომად მოვაგროვეთ. ჩვენი ძალა კი ახლა გამოჩნდება. „ვისლა“, „ლეგია“ — რა ვიცი, ესენი ძალიან ძლიერი გუნდები არიან და ალბათ მაგრად გაგვიჭირდება.

**— წინა სეზონში მუდმივად ძირითადი შემადგენლობის წევრი იყავი, ახლა კი უკეთეს შემთხვევაში შეცვლაზე გიწევს თამაში. ტრავმის შემდეგ ფორმა ჯერაც ვერ აღიდგინე?**

— როგორ გითხრათ, გარედან მართლაც ასე ჩანს, მაგრამ როცა გუნდი იგებს, შემადგენლობის შეცვლაზე ფიქრი მწვრთნელისთვის ძალიან ძნელია. თავიდან მართლაც მიჭირდა. ტრავმის გამო ხომ თითქმის ნახევარი წელი გამიცდა. მერე ფორმა კი აღვიდგინე, მაგრამ შემადგენლობაში მოხვედრა უკვე ძალიან ძნელი იყო. მწვრთნელის კარგად მესმის.

**— ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ბედს შეგუებული ხარ...**

— არა, რატომ? მწვრთნელი თითქმის ყოველდღე მელაპარაკება და არანაირი უთანხმოება არ გვაქვს. უბრალოდ, მართლა ძნელია მოგებულ შემადგენლობაში „შეძრომა“. სხვა გზა არ მაქვს, ჩემს შანსს უნდა დაველოდო.

**— ტრავმა ბოლომდე მოიშუშე?**

— კი. ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. ფეხი საერთოდ არ მაწუხებს.

**— სეზონის წინ კლუბის ხელმძღვანელობასთან შეხვედრას და კონტრაქტის გაგრძელებაზე საუბარს აპირებდი...**

— კონტრაქტი ივნისამდე მაქვს და არა მგონია, იანვრამდე მაინც ხელმძღვანელობას შევხვდე. პირველ ადგილზე კი ვართ, მაგრამ იშვიათად ვთამაშობ და ამასთან შეგუებაც მიჭირს. ახლა დაველოდები, თუ ძირითადში დავბრუნდი, ცხადია, კონტრაქტის გაგრძელებაზეც ვიფიქრებ. არადა, ჩემს გზას ვნახავ.

**ქახა შალამბერიძე**

საქართველოს 15 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი

# 8 ტური

ვიტ ჯორჯია 1:1 ლოკომოტივი
დინამო 0:0 სიონი
სპარტაკი 0:3 დილა
კოლხეთი 1:3 მერცხალი
ტორპედო 2:1 თბილისი
ბათუმი 2:0 მცხეთა

# აქ ამბებია, დაუსტვენ!



გოჩა ტყებუჩავა



გია ტყებუჩავა

**ქართველი** მსაჯები იმუქრებიან, ასე თუ გაგრძელდა, სასტვენისკენ აღარ გაეიხედავთო. დღითი დღე იზრდება თემიდელთა უკმაყოფილება. ტური ისე არ ჩაივლის, მსაჯს ან დისკვალიფიკაცია არ აჰკიდონ, ანაც საცემ-საგინებლად არ გამოუდგნენ. მათ დაცვას სულაც არ ვცდილობ, მით უფრო, ჰაი-ჰაი, რომ მართლაც ცდებიან ხოლმე, მაგრამ ფაქტია, ორი თვეც არ გასულა ჩემპიონატის დაწყებიდან და ყველაზე მეტი მსაჯებს მოხვდათ. არადა, ცოდვა ბევრ მწვრთნელ-ფეხბურთელსაც მოეკითხება. ხშირად ყოფილა, ამა თუ იმ გუნდს ცალკეულ ფეხბურთელთა მიუტევებელი შეცდომისა და მწვრთნელის მიერ შერჩეული არასწორი ტაქტიკის გამო წაუგია, მაგრამ მათთვის ცემამუქარით არავის მოუთხოვია პასუხი. მსაჯებზე ხელის შეწმენდა კი ყველაზე ადვილია და წინა ტურებში არაერთხელ ყოფილა ისეთი შემთხვევა, წაგებულს მსაჯებისთვის გადაუბრალებია მარცხი. ისინი კი ჯერჯერობით ითმენენ და ისევ უსტვენენ, თუმცა არავინ იცის, როდის გაუწყდებათ მოთმინების ძაფი.

მსაჯთა დევნა ბოლო ტურსაც არ მოჰკლებია და გასული უქმეების მთავარი მოვლენა სწორედ ეს იყო. ქართულ უმაღლეს ლიგაში დღესდღეობით ორი ტყებუჩავა მწვრთნელობს და შაბათ-კვირას ორივე მსაჯებს დაერია.

ფოთში „კოლხეთი" დაარხეინებული დახვდა დებიუტანტ „მერცხალს". ზღვისპირელებმა ანგარიშიც მალე გახსნეს და ნაადრევად ირწმუნეს მოგება. ოზურგეთელებს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ და გაშალა ფრთები „მერცხალმა". სამი ხომ გაიტანა და ერთი ამდენი კიდევ უნდა შეეგდოო, ირწმუნებიან მატჩის მხილველები. მოვლენათა მოულოდნელმა განვითარებამ კოლხთა თავკაც ჯუნგლი ტყებუჩავას წონასწორობა დააკარგვინა — შეტევა რატომ ჩაგვიშალეო, მეორე ტაიმის 58-ე წუთზე მსაჯს მოედანზე შეუვარდა. არბიტრი შალამბერიძე არ დაბნეულა — წითელი ბარათი დაახვედრა მომხვდურს. ნამატჩევს ფოთელებს დიდი პრეტენზიები ჰქონდათ. მსაჯებმა დაგვწვეს, ოზურგეთელთა ორი გოლი არ უნდა ჩაეთვალათო. „კოლხეთი" ფედერაციაში პროტესტის შეტანას აპირებდა, მაგრამ ეს პატარა სკანდალი აღარ გამწვავებულა. კოლხთა შანსები ერთობ სათუო ჩანდა, ამიტომაც დათქმულ ვადაში შესატანი განცხადება 1 000-ლარიანი ქვითრით არ მიუღიათ ჭავჭავაძის გამზირზე.

„სიონთან" წაფორხილებული „დინამოს" გადასწრების კარგი შანსი ჰქონდა კვირას „ვიტ ჯორჯიას", თუმც „ლოკომოტივმა" რაც შეეძლო, იბრძოლა და მატჩიც ფრედ დამთავრდა. მაგრამ ამ თამაშში ფეხბურთი ცოტა იყო, უფრო მეტი — ლანძღვა-გინება და მსაჯების ცემის სურვილი. რკინიგზელთა ერთ-ერთი მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავა ტაიმის ბოლო წუთზე თავისი გუნდის კარში დანიშნულმა პენალტმა გაახელა და შესვენებაზე მსაჯებისკენ გაენთო გინებით. გამშველებლებმა იყოჩაღეს და ფანიაშვილი მშვიდად გაემგზავრა ნამატჩევს პოლონეთში საუეფასთასო „ვისლა" — „ნაიმეგენის" განსასჯელად.

ტყებუჩავების საქმეს დღეს სადისციპლინო კომიტეტი განიხილავს, ჩვენ კი ბოლოს ტურის „მშვიდობიან" მატჩებზეც ვთქვათ. „დინამომ" „სიონი" ვერ გატეხა — შუშაკელები უგოლოდ დაშორდნენ ბოლნისელებს. მოლოდინისამებრ, მოიგო ორმა მასპინძელმა, „ტორპედომ" „თბილისი" დაამარცხა, „ბათუმმა" — „მცხეთა". მოსალოდნელი იყო „დილასგან" „სპარტაკის" წაქცევაც, ტურის გამორჩეული საფეხბურთო ამბავი ამ მატჩში მოხდა — ალექსანდრე კაიდარაშვილმა ჰეთ თრიქი გააზერხა.

**პაატა ძვანტალიანი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 8 - ახალაია | დინამო |
| 5 - დავითაშვილი | თბილისი |
| გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| მელქაძე | დინამო |
| ა. კაიდარაშვილი | დილა |
| 4 - გონჩაროვი | სიონი |

სიმბოლური ნაკრები




| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დინამო | 8 | 5 | 2 | 1 | 23:3 | 20 | 17 | 4 | 3 | 2 | 0 | 17:1 | 16 | 11 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 6 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 2 | 1 | 16:5 | 11 | 17 | 4 | 4 | 1 | 0 | 14:2 | 12 | 13 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 4 |
| 3 | დილა | 8 | 5 | 1 | 2 | 13:5 | 8 | 16 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 2 | 7 |
| 4 | სიონი | 8 | 4 | 3 | 1 | 10:5 | 5 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 9 | 5 | 1 | 3 | 1 | 3:4 | -1 | 6 |
| 5 | ტორპედო | 8 | 4 | 2 | 2 | 8:6 | 2 | 14 | 5 | 4 | 1 | 0 | 8:2 | 6 | 13 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | -4 | 1 |
| 6 | ლოკომოტივი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:10 | 1 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 4 |
| 7 | კოლხეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 7:9 | -2 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 3 |
| 8 | ბათუმი | 8 | 3 | 0 | 5 | 6:10 | -4 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 0 | 6 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | -4 | 3 |
| 9 | მერცხალი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:18 | -9 | 8 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 0 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 6:15 | -9 | 3 |
| 10 | თბილისი | 8 | 2 | 1 | 5 | 10:14 | -4 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | -3 | 4 | 5 | 1 | 0 | 4 | 7:8 | -1 | 3 |
| 11 | მცხეთა | 8 | 2 | 1 | 5 | 7:18 | -11 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:14 | -12 | 1 |
| 12 | სპარტაკი | 8 | 1 | 1 | 6 | 2:19 | -17 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:8 | -6 | 3 | 4 | 0 | 1 | 3 | 0:11 | -11 | 1 |

*გუშინწინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგას სტუმრობდა ფირმა „კოკა-კოლას" აღმოსავლეთ ევროპის ბიუროს საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, თურქი გურტაი კიკჩაკი. მოგეხსენებათ, „კოკა-კოლა" პროფესიული ლიგის გენერალური სპონსორია და აღმოსავლეთ ევროპის ბიუროს ერთ-ერთ ხელმძღვანელის ვიზიტიც ამად იყო მნიშვნელოვანი. კიკჩაკი თბილისში ორშაბათს ჩამოვიდა სამსახურებრივ საქმეებზე და ჩამოსვლისთანავე ქართული „კოკა-კოლას" პრეზიდენტ თემურ ჭყონიას ქართული ფეხბურთის მესვეურებთან შეხვედრა სთხოვა. კიკჩაკს ფეხბურთის ფედერაციაში მერაბ ჟორდანიამ და ლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა უმასპინძლეს*

# თურქმა ქართული ფეხბურთი ამერიკაში წაიღო

## სადაც კოკა კოლა, იქაც ჩვენი წარმატება?

— ძალიან კმაყოფილები ვართ. სერიოზული საქმე, სხვათა შორის, „კოკა-კოლას" აღმოსავლეთ ევროპის ბიუროს ერთ-ერთი ხელმძღვანელი თავისსავე ინიციატივით დაგეგმილზე ორი დღით ადრე გვესტუმრა. ეს ბიურო თურქეთშია და 28 ქვეყანას აერთიანებს, მათ შორის საქართველოს — გვითხრა დიმიტრი რამიშვილმა — ბატონი კიკჩაკი ფეხბურთის დიდი ქომაგი ყოფილა, ისევე როგორც ჩვენი სხვა სპონსორები. კიკჩაკი ქართული ფეხბურთის კარგი მცოდნეცაა. რა თქმა უნდა, მან პროფესიული ლიგისა და „კოკა-კოლას" თანამშრომლობის შესახებ იცის, თუმც კი ჩვენთან შეხვედრისას მიღებული ინფორმაციის შემდეგ კიდევ უფრო კმაყოფილი დარჩა. განვიხილეთ რამდენიმე პროექტი, რაც უდავოდ მომგებიანი იქნება ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის. კიკჩაკმა აღნიშნა, რომ „კოკა-კოლა" თუ მოგებაში დარწმუნებული არ არის, სხვანაირად არავისთან თანამშრომლობს. თურქმა თურქული ფეხბურთის განვითარება-აღმავლობაზეც თქვა, რაც „კოკა-კოლას" დახმარების შედეგიცაა. გურტაი კიკჩაკმა პროფესიული ლიგისა და „კოკა-კოლას" ერთობლივ მუშაობას მაღალი შეფასება მისცა და სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად ფირმის ცენტრალურ, ატლანტის ოფისთან პირად შუამდგომლობასაც დაგვპირდა. თურქი სტუმარი, 19-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი შესარჩევი ტურის თბილისში ჩატარების საქმეშიც დაგვეხმარება. ალბათ იცით, რომ ამ ტურნირს ფიფა სწორედ „კოკა-კოლასთან" ერთად ატარებს.

დიმიტრი რამიშვილთან შეხვედრის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის „კოკა-კოლას" შეფის ვიზიტზე კომენტარი ფედერაციის პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას ვთხოვეთ:

— ვთვლი, რომ პროფესიული ლიგის ცხოვრებაში კიკჩაკის სტუმრობა ერთ-ერთი გამორჩეული დღე იყო. უახლოეს დღეებში ხელი მოეწერება ჩვენი ფეხბურთის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვან კონტრაქტს. პროფესიულ ლიგასა და „კოკა-კოლას" თანამშრომლობის ყველა საკითხი, ფინანსური დახმარებით დაწყებული უკვე შეთანხმებულია. კონტრაქტი საკმაოდ გრძელვადიანია და ჩვენი ფეხბურთის განვითარებისთვის საჭირო ყველა დეტალს მოიცავს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროფლიგისთვის „კოკა-კოლას" დახმარება ყოველწლიურად, სულ მცირე, 30 პროცენტით გაიზრდება. თანხის რაოდენობას ჯერ ვერ ვიტყვით, ამის საჯაროდ თქმა მეორე მხარესთანაც შესათანხმებელია. სასიხარულოა, რომ შვიდ-რვა წლიანი პაუზის შემდეგ „კოკა-კოლა" დაბრუნდა ქართულ ფეხბურთში.

შვიდ-რვა წლის წინ „კოკა-კოლა" ბავშვთა საფეხბურთო ლიგის სპონსორი, მთავარი დამფინანსებელი და სულისჩამდგმელი იყო. ეს დიმიტრი რამიშვილმაც გაიხსენა და კიკჩაკთან შეხვედრისას ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება. თურქი ყურადღებასა და თანადგომას დაპირდა პროფლიგას. სადაც „კოკა-კოლაა", იქ წარმატებაა — თქვა სტუმარმა და პროფლიგას მომავალ ვიზიტამდე დაემშვიდობა.

# მსაჯის ბედი: შინ ლანძღვა, გარეთ პატივი

**ქართულ ჩემპიონატში** ლანძღველი არ ელევათ ჩვენებურ მსაჯებს, ევროპაში კი დღითი დღე მოწყალე თვალით უყურებენ ანატოლი მილჩენკოს სამწყსოს.

ფიფას არბიტრ ლევან ფანიაშვილს კვირას გარჯა დაუწუნეს და ლანძღვა-გინება არ დააკლეს, ხვალ კი ჩვენებური პოლონეთში იმსაჯებს — საუეფათასო „ვისლა" — „ნაიმეგენი" ქართველებს ანდეს. ფანიაშვილის მხარდამხარ ლევან მიქელაძე და კობა გაბრიაძე გაირჯებიან, სათადარიგო არბიტრობას კი მალხაზ მაისურაძე გასწევს.

სან მარინოში არიან მერაბ მალალურაძე და ლაშა სილაგავა. ეს ჯუჯა ქვეყანა 19-წლამდელთა ევროჩემპიონატს მასპინძლობს, მალალურაძემ უკვე იმსაჯა ერთი შეხვედრა და კარგი შეფასებაც მიიღო. უეფამ საოქტომბროდაც შეიგულა ქართველი მსაჯები. 17-წლამდელთა ევროჩემპიონატზე ლევან ფანიაშვილი და ზაზა მენთეშაშვილი გაემგზავრებიან.

**პაატა ძვანტალიანი**

# ლონდონელი სულელები იცის თუ არა ვიეირამ ჩხუბი?

*„არსენალის" თავმჯდომარემ თავის ფეხბურთელებს სულელები უწოდა — ლაპარაკია კვირის ყბადაღებულ თამაშზე, რომელიც მანჩესტერში გაიმართა და რომლის დამთავრებისთანავე ლონდონელი ფეხბურთელები მასპინძელთა ჰოლანდიელ ფორვარდს, რუუდ ვან ნისტელროის სილაქებით გაუმასპინძლდნენ.*

„თავის გამართლება შეუძლებელია. ჩვენ სულელურ ქცევაში ვართ დამნაშავენი — თქვა პიტერ ჰილვუდმა — როდესაც გონიერებას ელი, ფეხბურთელები სულელებივით სწორედ მაშინ იქცევიან ხოლმე. თან სამწუხარო ის არის, რომ ინციდენტში გამოცდილმა პროფესიონალებმა მიიღეს მონაწილეობა. ამ ხალხს უამრავი მატჩი აქვთ ნათამაშევი და წესით, მსგავს სიტუაციებში ქცევის წესები კარგად უნდა მოეხსენებოდეთ. ერთადერთი, რაც ახლა შემიძლია ვთქვა, ის გახლავთ, რომ ჩვენ ბინძური ხალხი არ ვართ და არავინ დაგვიშავებია".

გავიხსენოთ რა მოხდა: როდესაც თამაშის დამთავრებამდე ათიოდე წუთი რჩებოდა, „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი, რუუდ ვან ნისტელროი და „არსენალის" ფრანგი კაპიტანი პატრიკ ვიეირა ბურთისთვის ახტნენ. ვან ნისტელროი ვიეირას ზემოთ მოექცა ანუ შეაჯდა, შეახტა თუ რაღაც ამგვარი (იქნებ ფეხიც მიაყოლა). მიწაზე დაბრუნების შემდეგ ვიეირამ სამართლის დაწესება მსაჯს არ აცადა და ვან ნისტელროისკენ წიხლი გაიქნია. ვან ნისტელროი შორს იდგა, წიხლი არ მოხვედრია, მაგრამ გააფორმა, გაითამაშა, მსაჯის ყურადღება გაამძაფრა, რის შედეგადაც ფრანგი მოედნიდან გააძევეს.

და, როგორც გაირკვა, ის, რაც აღვწერეთ და რაც ტელეეკრანებზეც კარგად გამოჩნდა, ასეთი სიტყვების თანხლებით მიმდინარეობდა: ვიეირას თავის გასამართლებლად შემართული ვან ნისტელროისთვის უთქვამს:

გაირკვა, რომ ფეხბურთელებს შორის კონფლიქტი მატჩის დასრულებიდან 30 წუთის შემდეგაც განახლებულა. ვიეირა თურმე გასახდელში, უფრო სწორად კი ჰოლში „იუნაიტედის" მეკარესთან ფაბიენ ბარტეზთან, ნახევარმცველ ერიკ ჯემბა-ჯემბასთან და თანაგუნდელ რობერ პირესთან ერთად მდგარა. იგი ზურგით კედელს ყოფილა მიყრდნობილი, როდესაც ვან ნისტელროი მიახლოვებია.

— შენგან ერთი სიტყვის მოსმენაც არ მინდა — უთქვამს ფრანგს.

— მე არ გამიფორმებია — უპასუხია ვან ნისტელროის.

— ესე იგი, მე შეგეხე?

— არა, უბრალოდ დარტყმა არ გეხერხება.

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ვიეირას უთქვამს, რომ ახლა კი მართლა დაარტყამდა, ხოლო ვან ნისტელროი გაცლია.

შეგახსენებთ, რომ აღწერილ ეპიზოდამდე ვიეირა ერთხელაც იყო გაფრთხილებული.

„პირველ ყვითელზე არაფერი მეთქმის — განმარტა მოგვიანებით ფრანგმა — მეორე კი სკანდალური იყო. მე ბურთის მოსახელთებლად წამოხტომა მინდოდა, ვან ნისტელროი კი დამახტა, რათა დაებიჯებინა. ამის შემდეგ ამ ბიჭმა საერთოდ გაუგონარი რამ ჩაიდინა — მე მას საერთოდ არ შევხებივარ, მან კი დარტყმა გააფორმა და მსაჯს აფიქრებინა, რომ იქ ჩხუბი იყო ატეხილი. იმედი მაქვს, მსაჯი კიდევ ნახავს ეპიზოდს და მეორე ყვითელს გააუქმებს. მას ხომ ამის უფლება აქვს. გულწრფელი იმედი მაქვს, რომ მსაჯი ვიდეოს ნახავს.




ჩემსკენ ერთი ნაბიჯიც რომ გადმოდგა, მოგარტყამ და მერე მართალი ვიქნები...

ვან ნისტელროის ქცევამ დარჩენილი თამაში გააფუჭა".

შემდეგ პატრიკ ვიეირამ იმ პენალტზეც ილაპარაკა, რომელიც არბიტრმა სტივ ბენეტმა წამატებულ დროში, 92-ე წუთზე დანიშნა „არსენალის" კარში და რომელიც სწორედ ზემოხსენებულმა ვან ნისტელროიმ ვერ გამოიყენა — ბურთი ხარიხას გაარტყა.

„თამაშის ბოლო გაუგებარი იყო. როგორ შეიძლება წამატებულ წუთში ორთაბრძოლისთვის პენალტი დანიშნო? ასეთი საბედისწერო ჩასტვენის წინ მსაჯი აბსოლუტურად უნდა იყოს დარწმუნებული თავის სიმართლეში" — თქვა ვიეირამ.

ბუნებრივია, ინგლისურმა პრესამ „არსენალის" ყოფილ ფეხბურთელებს, ოდინდელ ვარსკვლავებსაც ჰკითხა აზრი. მათ დიდ ნაწილს ორიგინალური არაფერი უთქვამს, იან რაიტმა კი ასე უპასუხა:

„არსენალელებმა რუუდის წინააღმდეგ ჩადენილი საქციელით თავი ვერ მოიწონეს და მწამს დაისჯებიან, ვან ნისტელროი კი ყოჩაღი ყოფილა ექსტრემალურ სიტუაციაში თავი რომ შეიკავა".

ლონდონელ ფეხბურთელთა შორის ვან ნისტელროისადმი აგრესიით თვალსაჩინოდ 26 წლის კამერუნელი მცველი ლორენი გამოირჩეოდა, მატჩის შემდგომ მან თქვა:

„ვან ნისტელროი ბრწყინვალე ფეხბურთელია, თუმცა პროვოკატორიცაა და ჩვენს წინააღმდეგ ყოველთვის გახელებულივით იქცევა. მისთვის „მანჩესტერ იუნაიტედის" და „არსენალის" მატჩები ფეხბურთის საზღვარს სცილდება. ის ვიეირას ჯერ თავზე დაახტა, შემდეგ კი ყველა ღონე იხმარა, რათა მსაჯს პატრიკი გაეძევებინა".

ხოლო დიდმა დანიელმა მეკარემ, პიტერ შმაიხელმა საყვედური არსენალელ მცველს, ლამის ორმოცს მიტანებულ პატრიკ კიოუნს შეუთვალა, რომელმაც საფინალო სასტვენის შემდეგ ვან ნისტელროის თავში უთაქა. შეგახსენებთ, რომ შმაიხელი თავის დროზე დიდებულად იცავდა „მანჩესტერ იუნაიტედის" კარს.

„რამდენჯერ უთამაშია „მანჩესტერის" წინააღმდეგ? განა არ იცის, როგორ უნდა მოიქცეს ამ დროს? ეს არაპროფესიონალიზმია" — თქვა შმაიხელმა.



ლორენმა ფილ ნევილი ლამის დაახრჩო და დაისჯება, გერც ეშლი კოული და მარტინ კიოუნი გადაურჩებიან სასჯელს






ბოლოს კი შესაძლო თუ სავარაუდო დასასჯელთა სიას და დასჯის მოტივს ჩამოგითვლით:

*„არსენალი" — ფეხბურთელთა უკონტროლობისთვის.*

*არსენ ვენგერი („არსენალის" მწვრთნელი) — ვან ნისტელროისთვის მატყუარას წოდებისთვის.*

*მარტინ კიოუნი — ვან ნისტელროის თავში ჩარტყმისთვის.*

*პატრიკ ვიეირა — გაძევების შემდეგ აყალმაყალის გამოწვევისთვის.*

*ლორენი — მუქარისთვის.*

*ეშლი კოული — კრისტიანო რონალდოს დარტყმისთვის.*

*რეი პარლოუ — ვან ნისტელროის ნეკნებში მირტყმისთვის.*

*იენს ლემანი — თანამსაჯის ხელისკვრისთვის.*

**ბაჩუნა ძიდია**

# სადღაც წავიდა და მიღაცას მსაშბრა

**მოულოდნელობა**: ამბობენ, „ტოტენჰემში" გლენ ჰოდლს კლაუს ტოპმიოლერი შეცვლისო. ამ ეჭვს თავიდან მთლად იდუმალი ფორმა ჰქონდა — ტოპმიოლერის მეგობრები გერმანიაში ამბობდნენ, კლაუსი სადღაც, უცხოეთში, ერთ-ერთ მალულ გუნდთან მოსალაპარაკებლად არის წასულიო. ამის შემდეგ 52 წლის სპეციალისტის კვალი დაუზუსტებელ ხმათა თანახმად ინგლისში იპოვეს.

ტოპმიოლერი, რომელსაც თებერვლის შემდეგ არსად უმუშავია, ის მწვრთნელია, რომელმაც 2002 წელს „ლევერკუზენი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში ათამაშა, ჰოდლი კი „სფურზის" სკამიდან ცუდი შედეგების გამო დაითხოვეს — ექვს ტურში ლონდონელებს ოთხი ქულა აქვთ მოპოვებული.

„იმედი გამიცრუვდა, გავწბილდი, — განაცხადა ინგლისის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა — მე თავდადებული პროფესიონალი გახლავართ, რომელიც მთელი ცხოვრება „სფურზის" ფანია. ჩემზე დიდი მონდომებით „ტოტენჰემში" საქმის გამოსწორებას არავინ შეეცდება, მაგრამ მიშვებენ. მადლობა ქომაგებს, რომლებიც ძლიერ მიჭერენ მხარს".

ტოპმიოლერის გვარი კი იმ დღეს ახსენეს, როდესაც ლონდონური კლუბის ხელმძღვანელთა სხვა სასურველმა კანდიდატებმა, გრემ სუნესმა და მარტინ ონილმა თავის პირით შემოთვალეს უარი. რაც შეეხება კიდევ ერთს, რადომირ ანტიჩს, მან ბრძანა — იქნებ მაგ წინადადებით დავინტერესდე კიდეც, მაგრამ ჩემთვის არ მოუმართავთო. ამბობენ, რომ ანტიჩის შესახებ „სფურზის" თავმჯდომარეს დენიელ ლევის და სპორტულ საქმეთა დირექტორს, დევიდ პლიტს სხვადასხვა აზრი აქვთ. პლიტი თურმე უფრო ტრადიციული ინგლისური მიდგომების კაცია და ლევის სიდინჯისკენ მოუწოდებს.

**ბაჩუნა ძიდია**



კლაუს ტოპმიოლერი



# 34 მილიონი, ჩელსი და ინგლისი ერიკსონისთვის
## რანიერიმ აბრამოვიჩს ლიგა გაუგორა





**წინა უქმეებზე** ლონდონურმა „ჩელსიმ“ ვულვერჰემპტონში 5:0 მოიგო, რითაც, დაკარგული ქულებით, პრემიერლიგის ლიდერი გახდა. აღნიშნული მატჩისას და მის მერეც, ვულვერჰემპტონში „ჩელსის“ საქომაგოდ ჩასული ლონდონელები გაჰყვიროდნენ, არ გვინდა ერიკსონიო!

მართლაც, რად უნდა უნდოდეთ, როცა რომან აბრამოვიჩის ფულებით კლაუდიო რანიერიც მშვენივრად უძღვება გუნდის მართვას, რისი დასტურიც პრემიერლიგაში ნახსენები ლიდერობა და ჩემპიონთა ლიგაში კარგი სტარტია?

ამ კითხვის ადრესატი, მიხვედრებოდით, „ჩელსის“ მეპატრონე აბრამოვიჩია, რომელიც კლუბში სვენ გორან ერიკსონის მიყვანის სურვილს ვერაფრით ელევა. მეტიც, როგორც ყველაფრის მცოდნე გაზეთი „სანი“ იუწყება, აბრამოვიჩი ერიკსონს 34 მილიონ გირვანქას სთავაზობს, ოღონდ ის კი აღარ წერია, რამდენწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ.

მაგრამ, ისიც მოგეხსენებათ, რომ ერიკსონს ინგლისის ნაკრებში 2006 წლამდე აქვს კონტრაქტი და ფეხბურთის ასოციაციის მესვეურთა თქმით, ხელშეკრულების გაწყვეტის საბაბს ვერ ხედავენ.

მაგრამ აბრამოვიჩს ერიკსონი მაიც უნდა და ძველი საბჭოური წესის წაბაძვით, შვედ მწვრთნელს ნაკრებში და კლუბში სამუშაოს შეთავსებას სთავაზობს.

აბრამოვიჩი ასე განსჯის: „რამდენიმე კვირაში ინგლისის ნაკრები ბოლო შესარჩევ მატჩს ჩაატარებს და მთელი შვიდი თვით, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე, ერიკსონი მატჩებისგან თავისუფალი იქნება. ჰოდა, რა შეუშლის ხელს, პარალელურად ჩვენთან რომ იმუშაოს. ევროპის ჩემპიონატის მერე კი ასოციაცია ეგებ უმტკივნეულოდ შეელიოს“.

როგორც ჩანს, აბრამოვიჩს პორტუგალიაში ინგლისელთა გამარჯვებისა დიდად არ სჯერა. ხოლო რა შეუშლის ხელს და რა არა ერიკსონს, ეს თავად მწვრთნელის, აბრამოვიჩის და ასოციაციის გასარკვევია.

ამ დროს კი კლაუდიო რანიერი, ალბათ, მხარდამჭერთა არმიის გაზრდისა და, შესაბამისად, პოსტზე დარჩენის მიზნით, ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ლაპარაკობს: „ლიგის მოგება ჩემი ოცნებაა და სავსებით რეალურიც. ჩვენ საამისოდ საკმაო ძალა და მოტივაცია გაგვაჩნია. კლუბის მეპატრონეს ამით ჩინებულ საჩუქარს გავუკეთებთ.“

რანიერის ბოლო წინადადებაში აშკარად შეიმჩნევა რომან აბრამოვიჩისთვის თავის მოქონვის მცდელობა.

**ირაკლი ნინიძე**

# ნოოო, სენიორა ბექემ!
## დევიდი მადრიდში დააცადა

**გიო ახვლედიანი ლონდონიდან**

*მადრიდი ჯადოსნური ქალაქია. მადრიდი სრულიად ჯადოსნური ქალაქია. როცა ჩეშირში ყველას ძინავს, როცა მანჩესტერში ერთი ბარია ღია, მადრიდში ხალხი ქუჩებში გამოდის და კაფეების ტერასებზე სხდება. მადრიდში განუმეორებელი სასმელ-საჭმელი, მზე და ცოცხალი ისტორიაა. მალა ზიები მსოფლიოში ყველგან ერთნაირია, ფეხბურთის გუნდები კი სხვადასხვანაირი.*

მადრიდს გასაგიჟებელი „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონი აქვს, სადაც თამაშობს მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდი „რეალი“.

დევიდ ბექემი დიდხანს მიდიოდა მადრიდისკენ. ეს სვლა, საიდუმლოდ თუ ღიად ლამის წელიწადს გაგრძელდა და ნერვებად და გაზეთქილ წარბადაც კი დაჯდა. დევიდ ბექემი საუცხოოდ თამაშობს „რეალში“. ეს იოლი არ არის. გუნდში არიან ზიდანი, რონალდო, ფიგუ, რობერტო კარლოსი და რაული. მადრიდის პუბლიკა აღტაცებულია ინგლისელის მოედანზე გარჯით. ის მოერგო, ის მართლა მაგარი ყოფილა. ის ჩვენია.

ბექემი ბედნიერია.

მისი მადრიდში გადასვლა განთქმული ცოლის, ვიქტორია ადამსის გადაწყვეტილიც იყო. ხომ ცნობილია, რომ ინგლისის ყველაზე განთქმულ ცოლ-ქმარს შორის უფრო მაღალი ხმა და საკარიერო აზრები ვიქტორიას აქვს. ბევრნი, მათ შორის ბექჰის მამა ტედი, რომელიც დედა სანდრას გაშორებულია, ამბობს, რომ დევიდი ცოლის კონტროლის ქვეშაა, თუმცა, ეს არ არის რაიმე ავი და მჩაგვრელი კონტროლი. უბრალოდ, ვიქტორია პოლიტიკას წარმართავს.

ბექჰს მოსწონს მადრიდი, იმის მიუხედავად, რომ ენა არ იცის და ვარჯიშებზეც მდუმარედ მირბი-მორბის. ხუმრობს, ინგლისურის სწავლას 28 წელიწადი მოვანდომე და ესპანურს 28 დღეში ხომ ვერ ვისწავლიდიო. მაგრამ ის სწავლას აპირებს. მას მოსწონს იქაურობა და უნდა, რომ სახლში ცხოვრობდეს და ოჯახი ჰქონდეს. მაგრამ ბექემიანთ კლანი ჯერჯერობით ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „სანტა მაუროში“ ცხოვრობს და უფროს ვაჟ ბრუკლინსაც არ დაუწყია სიარული განთქმულ და ძვირ ინგლისურენოვან კერძო სკოლაში, რომლის მოწაფედაც, სხვათა შორის, ირიცხება. ოჯახი ჯერაც არ გადასულა საუცხოო ვილაში ავენიდა დე ლა ვიქტორიაზე, ოფიციალური მიზეზით, ქირის ფასის სიდიდის გამო.

ესე ყოველი ჩვეულებრივი საოჯახო ამბავი იქნებოდა, რომ არ ვიცოდეთ, რომ ჰერფორდშირელ ქალბატონ ვიქტორია ადამსს მადრიდი არ მოსწონს და თავის დაქალებს უცხადებს, რომ აქ ცხოვრებას არ აპირებს. მან არ იცის ენა, არა აქვს საქმე ესპანეთის დედაქალაქში, არ მოსწონს იქაური ჯადოსნური კერძები და ენატრება დედ-მამა და და.

მეგობართა წრიდან გამოსული ხმებით, ვიქტორია ადამსი გასულ შაბათს „ბერნაბეუს“ ტრიბუნაზე იჯდა და ილანძღებოდა მისი ქმრის ახალი სამუშაოს გამო. კიდევ სხვა ნალაპარაკევით, ვიქტორია ბექჰს უცნაურ ვარიანტს სთავაზობს: როცა დევიდი მანჩესტერში თამაშობდა, სავარჯიშოდ ორასი მილის სიშორეზე დაიარებოდა თავისი მანქანით, ჩეშირის სახლიდან. ესე იგი, ის ყოველდღე ოთხას მილს გადიოდა. ვიქტორია ყოველთვის ჯიუტად იცავდა ნამდვილი სახლის და ნამდვილი ოჯახის პრინციპს. ჰოდა, ახლა რა მოხდება, რომ ბექემებმა კერძო თვითმფრინავი იქირაონ, ოჯახმა კვლავ ჩეშირში იცხოვროს და საბრალო ბექჰმა მადრიდში ვარჯიშებზე თვითმფრინავით იფრინოს? გზას ორი საათი უნდა, იმაზე ნაკლები, ვიდრე ფეხბურთელი მანჩესტერში მანქანით სიარულს ახმარდა.

მოდი და უყურე საწყალ ბექჰს.

ინგლისელ ფეხბურთელებს უჭირთ უცხოურ კლუბებთან შეგუება, ხშირად თამაში არ გამოსვლიათ.

ბექჰს კი მადრიდის მინდორზე საქმე ზღაპრულად აეწყო.

მასაც ენატრება მშობლები. მამამისს „ოლდ ტრეფორდზე“ თამაში არ გაუცდენია, მადრიდში კი ყველა მატჩზე ვერ ჩადის. მაგრამ, ასეთია ფეხბურთელის ხელობა და ბექჰმა ეს იცის.

და როგორია ფეხბურთელის ცოლის ხელობა?

სერ ალექსი ამბობდა, რომ ფეხბურთელის ცოლი მისი ჭირის და ლხინის გამზიარებელი უნდა იყოს.

ვიქტორია კი ამბობს, რომ მადრიდი საშინელი ქალაქია. მათ უმცროს ვაჟს, რომელს ხიფათი მოუხდა, ბექჰის დედას გაუსხლტა ერთ-ერთი მაღაზიის ესკალატორზე და შუბლზე ორი ნაკერიც დაადეს.

აშარებულ ქალს რაღა გააჩერებს? ვიქტორია წიოდა, რომ ასეთი რამ ლონდონში არ მოხდებოდა და მარტო ამ წყეულ ქალაქში მოხდება.

ბექემებს ტრადიციული ოჯახი აქვთ, სხვებთან ყოფნას ისინი შინ ყოფნას და ერთმანეთთან ურთიერთობას ამჯობინებენ. დევიდსაც კი ენატრება თავისი მეგობრები, გარი და ფილ ნევილები, მაგრამ ის გასაოცრად მიჯაჭვულია ვიქტორიაზე. როცა „რეალი“ აზიურ ტურნეში იყო, დღეში ოცჯერ ურეკავდა ვიქტორიას.

ვიქტორიას სულაც არ უნდა, რომ სინიორა ბექემად იქცეს, მას თავისი კარიერა და დედა უნდა.

„რეალის“ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს არ უყვარს, როცა მისი ფეხბურთელების ცოლები აზრების განვითარებას დაიწყებენ ხოლმე. ეს სამხრეთია და მათ თავიანთი ადგილი უნდა იცოდნენ. ეს ამბავი არც სერ ალექს ფერნიუსონს უყვარდა, მაგრამ ბექჰისთვის ბრძოლა მას არ მოუგია, ვიქტორია ადამსმა მოიგო.

მაგრამ აი, რა მოხდა: შაბათს ვიქტორია მარტო იყო ლონდონის ერთ მოდურ წვეულება-ფართიზე. დევიდმა მადრიდიდან გამოფენაზე უარი თქვა, ხვალ მალაგაში თამაში მაქვსო.

ასე პირველად მოხდა.

ეს ერთი და სხვა ათასი, ბექჰ!






# რკინის ყატარელი იყო არაბეთის იერო

**კასტილიელ** რაინდს თვით სულისშემხუთავი არაბული უდაბნოც არ აწუხებს, თუმცა ამაზე მოგვიანებით. „ალ რაიანი“ კარგი გუნდია. აქაური ფეხბურთელები ჩამოსულ პროფესიონალებს მშვენივრად შეეწყვნენ და ერთად საკმაოდ რიგიანად ვთამაშობთ. ამ კლუბის შესაძლებლობებისა მჯერა“. ექსრეალელი არაბთა ორგანიზებულობით აღფრთოვანებულია — „ალ რაიანში“ დიდი წესრიგი სუფევს. თითოეულმა საკუთარი საქმე იცის და გუნდში ყველა ერთმანეთისადმი მეგობრულადაა განწყობილი. ეს კი, დამეთანხმებით, კარგი გუნდის უპირველესი ნიშან-თვისებაა“.

*ფერნანდო იერო ყატარში „გადასახლებით“ კმაყოფილი ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ესპანურ „სპორტექთან“ შეხვედრისას თავის ახალ გუნდსა და სამოღვაწეო ადგილზე ცუდი არაფერი წამოსცდენია*



ფერნანდო იერო ბედუინთა შორის მარტო არ იმყოფება. აქ მრავალი ძველ-ჩაუქი რაინდიც მოიძევება, დიდ ევროპულ ლიგებში ბრძოლებით დამაშვრალთ მცირე და მშვიდი ყატარისთვის რომ შეუფარებიათ თავი. „ჩემი აზრით, კარგია, როდესაც ყატარში ამდენი ვარსკვლავი ჩამოდის. ეს გამოცდილი მობურთალები აქაურ ჩემპიონატს მრავალფეროვნებით გაამდიდრებენ. განსაკუთრებით არგენტინელი კლაუდიო კანიჯას მოსვლა გამიხარდა. მასთან თანამშრომლობით ყატარის ფეხბურთი ბევრს მოიგებს“ — განუცხადა „სპორტექს“ პირინეული პრიმერას ღირსეულმა კაბალიერომ. თუმცა ისიც აღნიშნა, რომ იქაურ ლიგაში საქმეს მარტო უცხოელები არ აკეთებენ: „ყატარის ჩემპიონატი მარტო უცხოელ ვარსკვლავებზე არაა დამოკიდებული. ერთი კაცი, თუნდაც ვარსკვლავი, რაოდენ ძლიერიც უნდა იყოს, მთელი გუნდის მოვალეობას ვერ იტვირთებს, ამისთვის ყველა ფეხბურთელის ერთობლივი მოქმედებაა საჭირო. „ალ რაიანის“ ადგილობრივი კონტინგენტი შეთანხმებულად თამაშს ალღოს კარგად უღებს და საბოლოოდ ეს მშვენიერ შედეგსაც მოგვიტანს“.

რაც შეეხება უწყლო ქვიშნარსა და მასთან შეგუებას „რკინის კაპიტანი“ ამ კაცისთვის ტყუილად არ შეურქმევიათ, მარტო ძალუმად, ჟღერადი გვარის გამო კი არ დასაჩუქრდა ასე (HIERRO ესპანურად რკინას ნიშნავს). „შეგუებისთვის ბევრი დრო არ დამჭირვებია. რა თქმა უნდა, ესპანეთის მინდვრები დ ყატარის უდაბნო განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ ფეხბურთის თამაშს მე აქაც მშვენივრად შევძლებ. არ მინდა, „ალ რაიანისგან“ გამორჩეულ არსებად მეჭიროს თავი. მთავარი ჩემთვის გუნდის საერთო ინტერესებია“ — თქვა ფერნანდომ. „სპორტექმა“ ბედუინთა კომპანიეროს მადრიდის „რეალიც“ შეახსენა — თავაზიანად ჰკითხა, ამ ჯოჯოხეთურ ხვატში ნუთუ სამეფო კლუბში გატარებული ბედნიერი წლები არ გახსენდებაო და იქვე დელიკატურად დაურთო, იქნებ, ყოფილ უფროსობასთან ძველი უთანხმოების შესახებ რამდენიმე სიტყვა მოგვახსენოთო. ამაზე კასტილიელმა რაინდმა მცირე პაუზის შემდეგ ღიმილით უპასუხა: „მთელი ძალისხმევით რომ ვეცადო, „სანტიაგო ბერნაბეუს“ მაინც ვერ დავივიწყებ. ასეთი რამ ვერ წარმომიდგენია. კლუბის თავკაცობასთან კინკლაობაზე კი ვერაფერს გეტყვით, „რეალიდან“ ყოველივე კარგი მინდა მახსოვდეს“.

**ლადო ხომერიკი**



# ედგარ, რომა?

## იუვენტუსმა დავიდსის შემცვლელის შემცვლელი იპოვა

**„რომას“** სპორტულმა დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ პრესას განუცხადა, რომ ხმები, თითქოსდა ედგარ დავიდსი მომავალ სეზონში დედაქალაქურ კლუბში გადადის, გადაჭარბებულია.

„მხოლოდ ედგარმა იცის, რას იზამს მომავალში. ალბათ, იანვრამდე იგი თავის გადაწყვეტილებას გვამცნობს. მართალია, ჩვენ ძალიან გვინდა მისი გადაბირება, მაგრამ სულაც არ გამიკვირდება, თუ შემდეგ სეზონში დავიდსი „რომას“ მაისურით არ ითამაშებს“ — აღნიშნა ბალდინიმ.

შეგახსენებთ, რომ დედაქალაქელებმა დიდი ხანია, დავიდსს თვალი დაადგეს, ხოლო, როცა ცოტა ხნის წინ „იუვენტუსის“ გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ განაცხადა, ედგარი ალბათ „რომაში“ გადავაო, თითქმის გამოირიცხა „ბებერ ქალბატონსა“ და ჰოლანდიელ ნახევარმცველს შორის შეთანხმების მიღწევა კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე. ასე რომ, „პიტბულის“ „სტადიო ოლიმპიკოზე“ გადასვლა, ბალდინის სიტყვების მიუხედავად, ისევ ყველაზე რეალურად მოსჩანს.

| 24.00 | 720 | ევერტონი-სტოკპორტი | 1,15 | 6,0 | 12,5 | 1 | 1,05 | 4,05 |
| 24.00 | 721 | მიდლსბრო-ბრაიტონი | 1,35 | 4,2 | 7,5 | 1,02 | 1,14 | 2,69 |
| | | **შოტლანდია. ლიგის თასი. II ეტაპი** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 732 | დანფერმლაინი-კოუდენბითი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 23.45 | 733 | პიტერჰედი-პარტიკი | 5,3 | 3,6 | 1,55 | 2,14 | 1,19 | 1,08 |
| | | **საფრანგეთი. ლიგის თასი. I ეტაპი** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 744 | სტ.ეტიენი-რუანი | 1,7 | 3,1 | 5,0 | 1,09 | 1,26 | 1,91 |
| 23.00 | 745 | ამიენი-ნანსი | 1,8 | 2,9 | 4,6 | 1,11 | 1,29 | 1,77 |
| | | **დანია. თასი. IV ეტაპი** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.30 | 757 | ბ 1913-ბ 93 | 2,4 | 3,4 | 2,45 | 1,4 | 1,21 | 1,42 |
| 21.00 | 758 | ნესტვედი-ნორდსიელანდი | 2,4 | 3,5 | 2,4 | 1,42 | 1,2 | 1,42 |
| 22.00 | 759 | ვიბორგი-ორჰუსი | 2,1 | 3,4 | 3,0 | 1,29 | 1,23 | 1,59 |
| 22.00 | 760 | სილკებორგი-ჰერფოლგე | 2,3 | 3,4 | 2,6 | 1,37 | 1,22 | 1,47 |
| 22.00 | 761 | კოგე-აკადემისკი | 3,0 | 3,4 | 2,1 | 1,59 | 1,23 | 1,29 |
| 22.00 | 762 | რანდერსი-ოლსტედი | 1,75 | 3,6 | 3,6 | 1,17 | 1,17 | 1,8 |
| 22.00 | 763 | მიდტიულანდი-ფრემი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **შვედეთი. თასი. 1/2 ფინალი** | | | | | | |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 764 | ჰალმსტადი-ელფსბორგი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| | | **უეფას თასი. I ეტაპი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 765 | პაპოლი(რ-ვ)-ლევსკი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 19.00 | 766 | ცსკა-ტორპედო | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.30 | 767 | პანიონიოსი-ნორდსიელანდი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.30 | 768 | სარტიდი-სლავია | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 19.55 | 769 | გენჩლერბირლიგი-ბლექბერნი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 20.00 | 770 | მაკაბი-პუბლიკუმი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 20.30 | 771 | დინამო(ზ)-მტკ | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 20.30 | 772 | ჰერტა-გროცლინი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 21.00 | 773 | მეტალურგი-პარმა | 5,0 | 3,4 | 1,65 | 2,02 | 1,24 | 1,11 |
| 21.00 | 774 | მოუპა-სოშო | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 775 | ბრიონდბიუ-ჰაჯდუკი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 21.00 | 776 | ცემენტარნიცა-ლანსი | 4,8 | 3,5 | 1,65 | 2,02 | 1,22 | 1,12 |
| 21.00 | 777 | ზალცბურგი-უდინეზე | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| 21.00 | 778 | სპარტაკი-ესბიერგი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 21.00 | 779 | ვოლერენგა-გრაცერი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 21.00 | 780 | ვარტექსი-დებრეცენი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 21.15 | 781 | კაიზერსლაუტერნი-ტეპლიცე | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 21.30 | 782 | ლეირია-მოლდე | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 21.30 | 783 | უტრეხტი-ჟილინა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 21.30 | 784 | ზიმბრუ-არისი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 22.00 | 785 | ვენტსპილსი-რუსენბორგი | 4,8 | 3,5 | 1,65 | 2,02 | 1,22 | 1,12 |
| 22.00 | 786 | მალათია-ბაზელი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 22.00 | 787 | პუხოვი-ბარსელონა | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |
| 22.00 | 788 | დინამო(ბქ)-შახტარი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 22.00 | 789 | გასიანთეფი-პაპოლი(თ.ა) | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 22.30 | 790 | გრასჰოპერი-პაიდუკი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 23.00 | 791 | ლუვიე-ბენფიკა | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| 23.05 | 792 | დანდი-პერუჯა | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| 23.05 | 793 | ოდენსე-ცრვენა ზვეზდა | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 23.15 | 794 | ფერენცვაროში-კოპენჰაგენი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 23.15 | 795 | ოლიმპია-ლივერპული | 7,0 | 3,8 | 1,45 | 2,46 | 1,2 | 1,04 |
| 23.30 | 796 | პაოკ-ლილი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.30 | 797 | აიკ-ვალენსია | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 23.30 | 798 | აპოელი-მალიორკა | 4,8 | 3,5 | 1,65 | 2,02 | 1,22 | 1,12 |
| 23.40 | 799 | აუსტრია-დორტმუნდი | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| 23.45 | 800 | ოსერი-ქსამაქსი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.45 | 801 | ნიუკასლი-ბრედა | 1,2 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,71 |
| 23.45 | 802 | რომა-ვარდარი | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| 23.45 | 803 | საუთჰემპტონი-სტიაუა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 23.45 | 804 | პართსი-გელენჩბარი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 24.00 | 805 | სიტი-ლოკერენი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 01.00 | 806 | ვილიარეალი-ტრაბზონი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 01.00 | 807 | სპორტინგი-მალმიო | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 808 | კამენი-შალკე | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 21.00 | 809 | ჰამბურგი-დნეპრი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.00 | 810 | ვისლა-ნაიმეგენი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 23.30 | 811 | ფეიენოორდი-კერნტენი | 1,2 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,71 |
| 23.45 | 812 | ბორდო-ჰეტრიჯალკა | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 1022 | ზლინი-ვიტკოვიცე | 1,8 | 4,2 | 2,9 | 1,26 | 1,11 | 1,71 |
| 20.00 | 1023 | ტრჟინეცი-ვსეტინი | 1,35 | 5,0 | 5,0 | 1,06 | 1,06 | 2,5 |
| 20.00 | 1024 | ლიტვინოვი-კლადნო | 1,8 | 4,2 | 2,9 | 1,26 | 1,11 | 1,71 |
| 20.30 | 1025 | ბუდეიოვიცე-ზნოიმო | 2,35 | 4,2 | 2,15 | 1,5 | 1,12 | 1,42 |
| 21.00 | 1026 | ლიბერეცი-კარლოვი ვარი | 1,95 | 4,2 | 2,6 | 1,33 | 1,11 | 1,6 |
| 21.00 | 1027 | პარდუბიცე-სპარტა | 1,95 | 4,2 | 2,6 | 1,33 | 1,11 | 1,6 |
| 21.00 | 1028 | სლავია-პლზენი | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1.85 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 1040 | ნიტრა-ჟილინა | 2,8 | 4,2 | 1,85 | 1,68 | 1,11 | 1,28 |
| 20.00 | 1041 | ზვოლენი-მარტინი | 1,25 | 5,3 | 7,0 | 1,01 | 1,06 | 3,01 |
| 20.00 | 1042 | ტრენჩინი-სლოვანი | 1,9 | 4,2 | 2,7 | 1,3 | 1,11 | 1,64 |
| 20.00 | 1043 | მიხალოვცე-სკალიცა | 1,8 | 4,2 | 2,9 | 1,26 | 1,11 | 1,71 |
| 20.00 | 1044 | პოპრადი-კოშიცე | 2,8 | 4,2 | 1,85 | 1,68 | 1,11 | 1,28 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 1054 | მანჰაიმი-აისბარენი | 1,95 | 4,2 | 2,6 | 1,33 | 1,11 | 1,6 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 1089 | ფერიესტადი-ლინშოპინგი | 1,55 | 5,0 | 3,5 | 1,18 | 1,07 | 2,05 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 1090 | მალმიო-ფერიესტადი | 2,8 | 4,4 | 1,8 | 1,71 | 1,09 | 1,27 |
| 22.00 | 1091 | სოდერტელიე-მოდო | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| 22.00 | 1092 | ჰვ 71-ბრიუნესი | 1,45 | 5,0 | 4,2 | 1,12 | 1,07 | 2,28 |
| 22.00 | 1093 | ლეკსანდი-ტიმრო | 1,9 | 4,2 | 2,7 | 1,3 | 1,11 | 1,64 |
| 22.00 | 1094 | ფრიოლუნდა-ლულეო | 1,4 | 5,0 | 4,6 | 1,09 | 1,07 | 2,39 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 1109 | ესპოო-ილვესი | 1,7 | 4,8 | 3,0 | 1,25 | 1,08 | 1,84 |

# საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004“

**I ეტაპი, V ტური**

სახელი, მამის სახელი, გვარი ---------------------

**რჩევა კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 26.09.03**

შტამპის ადგილი

**I ეტაპი, V ტური**
ჩაბარების ბოლო ვადაა 26.09.03

სახელი, მამის სახელი, გვარი ---------------------

მისამართი---------------------

საკონტაქტო ტელეფონი ---------------------

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 27.09 | ჩელსი - ასტონ ვილა | | 19.00 | 27.09 | ჩელსი - ასტონ ვილა | |
| 21.00 | 27.09 | რეჯინა - იუვენტუსი | | 21.00 | 27.09 | რეჯინა - იუვენტუსი | |
| 23.30 | 27.09 | უდინეზე - ინტერი | | 23.30 | 27.09 | უდინეზე - ინტერი | |
| 18.30 | 27.09 | მიუნხენ 1860 - შტუტგარტი | | 18.30 | 27.09 | მიუნხენ 1860 - შტუტგარტი | |
| 18.30 | 27.09 | ჰანზა - ბაიერნი | | 18.30 | 27.09 | ჰანზა - ბაიერნი | |
| 23.00 | 27.09 | ბასტია - სოშო | | 23.00 | 27.09 | ბასტია - სოშო | |
| 23.00 | 27.09 | მარსელი - ნიცა | | 23.00 | 27.09 | მარსელი - ნიცა | |
| 19.00 | 27.09 | პსვ - ალკმაარი | | 19.00 | 27.09 | პსვ - ალკმაარი | |

**I ეტაპი, VI ტური** — **I ეტაპი, VI ტური**

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 28.09 | ჩარლტონი - ლივერპული | | 18.00 | 28.09 | ჩარლტონი - ლივერპული | |
| 19.00 | 28.09 | ევერტონი - ლიდსი | | 19.00 | 28.09 | ევერტონი - ლიდსი | |
| 20.05 | 28.09 | სიტი - ტოტენჰემი | | 20.05 | 28.09 | სიტი - ტოტენჰემი | |
| 23.30 | 28.09 | კიევო - პერუჯა | | 23.30 | 28.09 | კიევო - პერუჯა | |
| 19.00 | 28.09 | ვალენსია - რეალი | | 19.00 | 28.09 | ვალენსია - რეალი | |
| 19.00 | 28.09 | ბილბაო - სოსიედადი | | 19.00 | 28.09 | ბილბაო - სოსიედადი | |
| 19.00 | 28.09 | ატლეტიკო - ბარსელონა | | 19.00 | 28.09 | ატლეტიკო - ბარსელონა | |
| 20.30 | 28.09 | შალკე - აინტრახტი | | 20.30 | 28.09 | შალკე - აინტრახტი | |

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 27 სექტემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში“ და გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში (მხოლოდ 27 სექტემბერს)

## პასუხი კონკურსანტთა კითხვებზე: პროგნოზის გრაფაში მითითებული უნდა იყოს ანგარიში. შეიძლება პროგნოზის ნებისმიერი რაოდენობის ვარიანტების ჩაბარება (დებულების მე-13 პუნქტი)

## კონკურსის მონაწილეთა საყურადღებოდ

VIII ტურის საკონკურსო ბიულეტენის აკრეფისას გაზეთ „ახალ ვერსიაში“ და ჟურნალ "ულტრაში" დაშვებული იყო შეცდომა. გთავაზობთ მის გასწორებულ ვარიანტს და გაცნობებთ, რომ გაზეთ „ახალ ვერსიასა“ და ჟურნალ „ულტრადან“ ჩაბარებულ საკონკურსო ბიულეტენებში VIII ტურის მეხუთე მატჩში მითითებულ ანგარიშში ნაგულისხმები იქნება ჩელსი — ბეშიქთაშის ანგარიში ნაცვლად დაბეჭდილი ჩელსი — ბენფიკისა, ხოლო მეექვსე მატჩში მითითებულ ანგარიშში სელტა — მილანის ანგარიში ნაცვლად დაბეჭდილი ატლეტიკო — ბეშიქთაშისა

**I ეტაპი, VII ტური**

სახელი, მამის სახელი, გვარი ---------------------

**რჩევა კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 29.09.03**

შტამპის ადგილი

**I ეტაპი, VII ტური**
ჩაბარების ბოლო ვადაა 29.09.03

სახელი, მამის სახელი, გვარი ---------------------

მისამართი---------------------

საკონტაქტო ტელეფონი ---------------------

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 30.09 | სელტიკი - ლიონი | | 23.45 | 30.09 | სელტიკი - ლიონი | |
| 23.45 | 30.09 | ანდერლეხტი - ბაიერნი | | 23.45 | 30.09 | ანდერლეხტი - ბაიერნი | |
| 23.45 | 30.09 | ინტერი - დინამო (კიევი) | | 23.45 | 30.09 | ინტერი - დინამო (კიევი) | |
| 21.30 | 30.09 | ლოკომოტივი - არსენალი | | 21.30 | 30.09 | ლოკომოტივი - არსენალი | |
| 23.45 | 30.09 | მონაკო - აეკ | | 23.45 | 30.09 | მონაკო - აეკ | |
| 23.45 | 30.09 | დეპორტივო - პსვ | | 23.45 | 30.09 | დეპორტივო - პსვ | |
| 23.45 | 30.09 | ოლიმპიაკოსი - იუვენტუსი | | 23.45 | 30.09 | ოლიმპიაკოსი - იუვენტუსი | |
| 23.45 | 30.09 | გალათასარაი - სოსიედადი | | 23.45 | 30.09 | გალათასარაი - სოსიედადი | |

**I ეტაპი, VIII ტური** — **I ეტაპი, VIII ტური**

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 01.10 | პანათინაიკოსი - რეინჯერსი | | 23.45 | 01.10 | პანათინაიკოსი - რეინჯერსი | |
| 23.45 | 01.10 | შტუტგარტი - მანჩესტერი | | 23.45 | 01.10 | შტუტგარტი - მანჩესტერი | |
| 23.45 | 01.10 | მარსელი - პარტიზანი | | 23.45 | 01.10 | მარსელი - პარტიზანი | |
| 23.45 | 01.10 | პორტო - რეალი | | 23.45 | 01.10 | პორტო - რეალი | |
| 23.45 | 01.10 | ჩელსი - ბეშიქთაში | | 23.45 | 01.10 | ჩელსი - ბეშიქთაში | |
| 23.45 | 01.10 | სელტა - მილანი | | 23.45 | 01.10 | სელტა - მილანი | |
| 23.45 | 01.10 | ლაციო - სპარტა | | 23.45 | 01.10 | ლაციო - სპარტა | |
| 23.45 | 01.10 | აიაქსი - ბრიუგე | | 23.45 | 01.10 | აიაქსი - ბრიუგე | |

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 30 სექტემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში“ და გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში (მხოლოდ 30 სექტემბერს)

## I ეტაპის I ტურის წინასწარი შედეგები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქ. |
|---|---|---|
| 1 | გაბელაია კახა ჟუკას ძე | 39 |
| 2-9 | ბლუაშვილი ზურაბ ნოდარის ძე | 31 |
| 2-9 | გორგიშელი შალვა ჯუმბერის ძე | 31 |
| 2-9 | გორელაშვილი დავით გურამის ძე | 31 |
| 2-9 | თოფჩიშვილი ლერი ირაკლის ძე | 31 |
| 2-9 | ლომიძე გიორგი მალხაზის ძე | 31 |
| 2-9 | ქოჩლაძე ზურაბ ანგის ძე | 31 |
| 2-9 | ლვაჩლიანი ირაკლი ფაიზორის ძე | 31 |
| 2-9 | ცხვედიანი თეიმურაზ ვაჟას ძე | 31 |
| 10 | გრიგორაშვილი თამაზ დავითის ძე | 30 |
| 11-12 | ამირეჯიბი გოჩა შოთას ძე | 29 |
| 11-12 | ფხაკაძე ზურაბ გურგენის ძე | 29 |
| 13-21 | ბეგიაშვილი ანა მიხეილის ასული | 28 |
| 13-21 | ვეშაპიძე გია შოთას ძე | 28 |
| 13-21 | მჭედლიშვილი ილია კობას ძე | 28 |
| 13-21 | ნონიკაშვილი მიხეილ ნუგზარის ძე | 28 |
| 13-21 | ჟღენტი მალხაზ ნიკოლოზის ძე | 28 |
| 13-21 | სამხარაძე გოჩა ნაულის ძე | 28 |
| 13-21 | ფირცხალავა ლევან ტარიელის ძე | 28 |
| 13-21 | ქურდაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე | 28 |
| 13-21 | წულაია აკაკა ალფეზის ძე | 28 |
| 22-27 | ბახტაძე ნიკოლოზ ვლადიმერის ძე | 26 |
| 22-27 | კალანდარიშვილი ზაალ ალექსანდრეს ძე | 26 |
| 22-27 | ფეიქრიშვილი მერაბ ჯემალის ძე | 26 |
| 22-27 | ცქვიტაია სანდრო ალექსანდრეს ძე | 26 |
| 22-27 | ხმალაძე ინეზა თემურის ას | 26 |
| 22-27 | ჯორბენაძე სერგი სანდროს ძე | 26 |

## I ეტაპის II ტურის წინასწარი შედეგები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქ. |
|---|---|---|
| 1 | გიორგაძე ოთო კობას ძე | 44 |
| 2 | ბლუაშვილი ნოდარ ზურაბის ძე | 42 |
| 3 | ფირცხალავა ლევან ტარიელის ძე | 41 |
| 4 | თოფჩიშვილი ლერი ირაკლის ძე | 40 |
| 5-10 | ბარბაქაძე გიორგი კონსტანტინეს ძე | 39 |
| 5-10 | გურგენიძე ზურაბ ანტონის ძე | 39 |
| 5-10 | კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე | 39 |
| 5-10 | მორჩიაშვილი პალიკო სევერიანის ძე | 39 |
| 5-10 | ქურდაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე | 39 |
| 5-10 | საბაშვილი გიორგი დომენტის ძე | 39 |
| 11-12 | გრძელიშვილი ლაშა ალექსის ძე | 38 |
| 11-12 | თხელიძე ირაკლი ჯონდოს ძე | 38 |
| 13-16 | ბახტაძე ირაკლი ნიკოლოზის ძე | 36 |
| 13-16 | გორელაშვილი დავით გურამის ძე | 36 |
| 13-16 | მსხვილიძე გიორგი გივის ძე | 36 |
| 13-16 | ჟღენტი მალხაზ ნიკოლოზის ძე | 36 |
| 17 | ჯაფარიძე არჩილ ბიძინას ძე | 35 |
| 18 | სანიკიძე დავით შოთას ძე | 34 |
| 19-31 | აბესაძე თეიმურაზ იაშას ძე | 33 |
| 19-31 | ამირეჯიბი გოჩა შოთას ძე | 33 |
| 19-31 | გალუაშვილი დავით გიორგის ძე | 33 |
| 19-31 | გოგონაძე ჯაბა ბადრის ძე | 33 |
| 19-31 | გოცირიძე არჩილ ილიას ძე | 33 |
| 19-31 | ლაბაძე ლევან ნოდარის ძე | 33 |
| 19-31 | მაზიაშვილი დავით ბიძინას ძე | 33 |
| 19-31 | მახარაშვილი თეიმურაზ თენგიზის ძე | 33 |
| 19-31 | მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე | 33 |
| 19-31 | მჭედლიშვილი ილია კობას ძე | 33 |
| 19-31 | ნიჟარაძე შოთა ვარლამის ძე | 33 |
| 19-31 | ციკოლია მამუკა ვალერიანის ძე | 33 |
| 19-31 | ჭანტურია სოსო კობას ძე | 33 |

## მდგომარეობა ორი ტურის შემდეგ

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქ. |
|---|---|---|
| 1 | თოფჩიშვილი ლერი ირაკლის ძე | 71 (31-40) |
| 2 | ფირცხალავა ლევან ტარიელის ძე | 69 (28-41) |
| 3-4 | გორელაშვილი დავით გურამის ძე | 67 (31-36) |
| 3-4 | ქურდაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე | 67 (28-39) |
| 5 | ჟღენტი მალხაზ ნიკოლოზის ძე | 64 (28-36) |
| 6-9 | ამირეჯიბი გოჩა შოთას ძე | 62 (29-33) |
| 6-9 | ბარბაქაძე გიორგი კონსტანტინეს ძე | 23-39 (62) |
| 6-9 | გიორგაძე ოთო კობას ძე | 62 (18-44) |
| 6-9 | გურგენიძე ზურაბ ანტონის ძე | 62 (23-39) |
| 10-11 | თხელიძე ირაკლი ჯონდოს ძე | 61 (23-38) |
| 10-11 | მჭედლიშვილი ილია კობას ძე | 61 (28-33) |
| 12-15 | ბლუაშვილი ზურაბ ნოდარის ძე | 59 (31-28) |
| 12-15 | ვეშაპიძე გია შოთას ძე | 59 (28-31) |
| 12-15 | მორჩიაშვილი პალიკო სევერიანის ძე | 59 (20-39) |
| 12-15 | ლვაჩლიანი ირაკლი ფაიზორის ძე | 59 (31-28) |
| 16-17 | მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე | 58 (25-33) |
| 16-17 | ჯაფარიძე არჩილ ბიძინას ძე | 58 (23-35) |
| 18-20 | ბლუაშვილი ნოდარ ზურაბის ძე | 57 (15-42) |
| 18-20 | ლომიძე გიორგი მალხაზის ძე | 57 (31-26) |
| 18-20 | ფხაკაძე ზურაბ გურგენის ძე | 57 (29-28) |
| 21-29 | ბაციკაძე ნუგზარ ვლადიმერის ძე | 56 (25-31) |
| 21-29 | გოცირიძე არჩილ ილიას ძე | 56 (23-33) |
| 21-29 | გრძელიშვილი ლაშა ალექსის ძე | 56 (18-38) |
| 21-29 | მახარაშვილი თეიმურაზ თენგიზის ძე | 56 (23-33) |
| 21-29 | ნონიკაშვილი მიხეილ ნუგზარის ძე | 56 (28-28) |
| 21-29 | ორმოცაძე ზაზა ვლადიმერის ძე | 56 (25-31) |
| 21-29 | ციკოლია მამუკა ვალერიანის ძე | 56 (23-33) |
| 21-29 | ძნელაძე ნუგზარ სიმონის ძე | 56 (25-31) |
| 21-29 | ჭანტურია სოსო კობას ძე | 56 (23-33) |

შედეგების გაპროტესტება შეიძლება 30 სექტემბრამდე, 11-დან 17 საათამდე, კვირა-ორშაბათის გარდა გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში

# წესი №1 — ჯანდაბას ქალები

## ზაზა ფაჩულიას ამერიკულ ცხოვრებას ასწავლიან

*„ორლანდო მეჯიქის" ახალბედა ზაზა ფაჩულია ახლა ნიუ იორკშია, სადაც სხვა ნადრაფტალ ბიჭებთან ერთად ამერიკული ცხოვრებისა და ქცევის წესებს ასწავლიან. ასეა ნბა-ში, ეს გზა გაიარა შარშანდელი დრაფტის მე-5 ნომერმა ნიკა ცქიტიშვილმაც. ანთალიის, ბათუმის, სენაკისა და თბილისის შემდეგ ზაზამ ისევ ორლანდოს მიაშურა და ზღვისპირეთში მოსვენებული კვლავ ფორმაში ჩადგა. ფაჩულია ახლა მოუთმენლად ელის 3 ოქტომბერს, როცა „ორლანდო" სრული შემადგენლობით შეიკრიბება და საახალსეზონო მზადებას გააჩაღებს. ზაზას გუშინწინ ნიუ იორკში შევეხმიანეთ...*



— თითქმის ყველა ახალბედა ნიუ იორკში შეგვკრიბეს, აქაური ცხოვრების თითოეულ ნიუანსსაც კი გვასწავლიან.

— მაგალითად...

— არც კი ვიცი, საიდან დავიწყო, აბსოლუტურად ყველაფერზე გველაპარაკებიან, მოძრაობის წესებით დაწყებული, საბანკო ანგარიშების გახსნა-გამოყენებით დამთავრებული. გვასწავლიან, რომ უცხოსთან არ უნდა გავაბათ ახლო ურთიერთობა, რადგან ბევრი იმის ცდაში იქნება, როგორმე ფული წაგვგლიჯოს. ქალებს უნდა ვერიდოთ, სახლიდან გამოსვლისას ონკანი უნდა დავკეტოთ და ასე შემდეგ, გაუთავებლად.

**— რომელიმე ახალბედას ხომ არ დაუახლოვდი?**

— განსაკუთრებულად არავის, ისე კი ყველა გავიცანი. მეგობრული ბიჭები არიან. კიდევ ექვსი დღე ვიქნები ამათთან და ძალიან მიხარია. ახლაც ერთად ვართ ყველანი, ნიუ იორკის ერთ-ერთ საავადმყოფოში მივდივართ ბავშვების მოსანახულებლად. ლექციების სმენის გარდა საქველმოქმედო საქმესაც ვაკეთებთ, ამჯერად პატარებთან წიგნები და სათამაშოები მიგვაქვს.

**— საქართველოდან მიბრუნებული ორლანდოში მარტო ვარჯიშობდი?**

— თავიდან მარტო ვიყავი, მერე კი თანდათან სხვა ახალბედებიც შემომიერთდნენ. „ორლანდოს" ასისტენტი მწვრთნელები გვავარჯიშებდნენ, 3 ოქტომბრიდან კი დოკ რივერსის ხელმძღვანელობით მთელი გუნდი შეიკრიბება.

**— „ორლანდომ" ვიღაც უცნობი შეიმატა...**

— ოსმან კისი „ორლანდოს" მე-16 კაცია და გუნდიც საბოლოოდ დაკომპლექტდა. 3 ოქტომბერს ყველანი დისნეი ლენდის ერთ-ერთ სასტუმროში გადავსახლდებით და ახალი სეზონისთვის მოვემზადებით. 7-ში კი პირველ ამხანაგურ მატჩს გავმართავთ „დალას მავერიკსთან".

**— დისნეი ლენდი ახსენე და, როგორ ერთობი?**

— დისნეი ლენდში კი ვიყავი, მაგრამ იქ კარგა ხანია, აღარ შემივლია. შაბათ-კვირას ვისვენებთ და მაიამიში პლაჟზე დავდივარ, ზღვა ძალიან მიყვარს. ქალაქის დათვალიერებითაც კარგად ვერთობი, თავისუფალ დროს ორლანდოს ქუჩებში დავხეტიალობ საათობით. ჩემპიონატი რომ დაიწყება, მერე სადღა მეცლება და ამიტომაც ახლა ვცდილობ აქაურობის გაცნობას.

**— სეზონს როგორი განწყობით ხვდები?**

— ხალისიანად და დიდი იმედით. ვიცი, რომ თავის გამოჩენის შანსი აუცილებლად მომეცემა და მეც ყველაფერს გავიღებ გუნდში დასამკვიდრებლად.

**ირაკლი ბერტაია**



# დუდუ დადიანის მემორიალი

*დღეს ვერის ბაღში დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირი დაიწყება. ესაა რიგით მეორე გათამაშება მას შემდეგ, რაც კალათბურთის ფედერაციამ მის მემორიალს ტრადიციულის სტატუსი მიანიჭა.*

ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული თბილისის „დინამოა", რომელიც წლეულსაც მთავარ ფავორიტად ითვლება. გამარჯვება სწადია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდსაც, რომელიც შარშანდელი ტურნირის ფინალში დამარცხდა, წლეულს კი გაცილებით ძლიერი შემადგენლობა შეუკრავს.

დადიანის მემორიალი მე-13 ჩემპიონატის დაწყებამდე [illegible] და კარსმომდგარი სეზონის წინ მონაწილეთათვის მოთელვა-მზადების ჩინებული საშუალებაა.

შარშანდელი ფინალი წლეულს აღარ განმეორდება. „დინამო" და თსუ ერთ ჯგუფში [illegible], საიდანაც მხოლოდ [illegible]სანი გადის ფინალში.

საქართველოს ჩემპიონატის ორი მონაწილე, სსუ და „ქუთაისი" დადიანის მემორიალში [illegible] გამო არ ითამაშებს.

**ა ჯგუფი**
დინამო
აზოტი
თსუ

**ბ ჯგუფი**
ბასკო
სტუ-ჯეოსელი
მაკაბი

| | |
|---|---|
| **24 სექტემბერი** | |
| 12.00 | სტუ-ჯეოსელი — მაკაბი |
| 14.00 | გახსნა |
| 14.30 | აზოტი — თსუ |
| **25 სექტემბერი** | |
| 14.00 | დინამო — თსუ |
| 16.00 | ბასკო — მაკაბი |
| **26 სექტემბერი** | |
| 14.00 | სტუ-ჯეოსელი — ბასკო |
| 16.00 | აზოტი — დინამო |
| **27 სექტემბერი** | |
| 12.00 | მე-5 ადგილისთვის |
| 14.00 | მე-3 ადგილისთვის |
| 16.00 | ფინალი |

# გიორგი მდივანმა შუა საუკუნეებში იცხოვრა

## ხალხმა პარკერს აგინა, მტრისას




[illegible] ფოტო

*გიორგი მდივანი ოქტომბერში სრულწლოვანი გახდება და ფრანგული „პო ორტეზიც" მერელა გაუფორმებს პროფესიულ კონტრაქტს. მანამდე კი პოელები საფრანგეთის ჩემპიონატისთვის ხან მთაში ემზადებიან, ხანაც ბარში. მდივანმა მშვიდობით მოიარა სამთო კურორტი ტამპლი, პოში მიბრუნებული კი დაშავდა და ჩემპიონებს ორი კვირით გამოაკლდა. მდივანს გუშინ საფრანგეთში დავუკავშირდით...*

— მეხუთე დღეა, უქმად ვარ. ვარჯიშზე ფეხი ამომიბრუნდა და კიდევ ერთი კვირა ვერ ვივარჯიშებ.

**— „პო ორტეზმა" რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართა, ამ დროს ხომ არ დაშავდი?**

— არა, „ტულონთან" მეც ვითამაშე, ტრავმა კი ვარჯიშზე მივიღე. ის მატჩი ათიოდე დღის წინ გავმართეთ სამთო კურორტ ტამპლიში, სადაც ერთკვირიანი შეკრება გავიარეთ.

**— „ტულონთან" თამაშით კმაყოფილი ხარ?**

— 3 ქულა გავაკეთე, საბოლოოდ კი 2 ქულით დავმარცხდით. წაგება საგანგაშო არაა, სამთო შეკრებაზე რამდენიმე მოთამაშე გვაკლდა, რომლებიც საფრანგეთის ნაკრებში იყვნენ გამოძახებულნი. ცუდად არ მითამაშია, ტრავმამდე საკმაოდ კარგ ფორმაში ვიყავი, მთის ჰაერი და ვარჯიშები მომიხდა. ტამპლიში შუა საუკუნეების ციხე-კოშკია, რომელიც სასტუმრო კომპლექსადაა გადაკეთებული. იქ ძირითადად სპორტსმენები დადიან, ძალიან კარგი პირობებია. ციხის გარშემო ტყეა, იქვეა მდინარე და პატარა ტბა. მოკლედ, კარგი მოსასვენებელი ადგილია.

**— „ტულონის" გარდა სხვებსაც ესპარინგეთ...**

— „ვილერბანთან" შეხვედრამდე ორი დღით ადრე მივიღე ტრავმა, როგორ მეწყინა, რომ იცოდე?! „ვილერბანი" ჩვენი უმთავრესი მეტოქეა საფრანგეთში და მოუთმენლად ველოდი ამ მატჩს, მაგრამ... ის შეხვედრა მოვიგეთ, მერე „პო ორტეზი" ოთხთა ტურნირზე გაემგზავრა ლიონში, მე კი სამკურნალოდ პოში დავრჩი.

**— ჩემპიონატი როდის იწყება, თუ მოასწრებ გამოჯანმრთელებას?**

— პირველი მატჩი 5 ოქტომბერს გვაქვს პარიზის „რასინგთან", იმ დროისთვის უკვე მწყობრში ვიქნები.

**— ახალ კონტრაქტსაც ხომ ოქტომბრისთვის გაგიფორმებენ?**

— ჰო, სრულწლოვანი გავხდები და კონტრაქტსაც გამიფორმებენ. ეს ამბავი, სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოსთვის მოხდება.

**— ბოლოს ახლახან დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე გკითხავ: რაო ფრანგებმა, მათი ნაკრები ხომ არათუ ჩემპიონი ვერ გახდა, ოლიმპიადის საგზურიც ვერ მოიპოვა...**

— ხალხი გაგიჟებული იყო. ზოგი ხმამაღლაც ლანძღავდა სანანტონიოელ ტონი პარკერს, რომელმაც ყველა გადამწყვეტი სროლა ააცილა და ჩემპიონობაზე მოფიქრალ თანამემამულეებს იმედი გაუცრუა

**ირაკლი ბერტაია**

# 2003 წლის მსოფლიოს თასი ჩვენი მეტოქე

## დიდი ბუა

## ახლა ინგლისი ისეთია, ჩვენ კი არა, მსოფლიოს ეშინია

*ექვსი ერის დიდი სლემით მომგები ინგლისის ნაკრები წლევანდელი მსოფლიოს თასის მთავარი ფავორიტია. ჯგუფში ინგლისელები 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონ სამხრეთ აფრიკასთან, სამოასთან, ურუგვაისთან და საქართველოსთან ერთად არიან. მსოფლიოს თასზე „წითელ ვარდებს" 33 წლის გამოცდილი მეორეხაზელი მარტინ ჯონსონი უკაპიტნებს. ხოლო შერკინების პირველ ხაზში ბურჯად 35 წლის ჯეისონ ლეონარდი დადგება, ვისაც ნაკრებში სარეკორდო, 106 მატჩი უთამაშია.*

*ჯონსონისთვის და „ვარდების" ცოცხალი ლეგენის ლეონარდისთვის ეს ბოლო შანსია, კარიერა მსოფლიოს ჩემპიონობით დაასრულონ. ცხადია, ძალიან საწყენი იქნება, ეს ორი დიდი მოთამაშე რაგბიდან უთასოდ წავიდეს. ინგლისელთა მორკინალები გაორმაგებული ყინით ამიტომაც ემზადებიან — „ბებერი რქებით" მეტოქეთა „გადახვნას" აპირებენ. ვაი, რომ პირველი მსხვერპლი ჩვენი ბორჯღალოსნები იქნებიან.*

*ფრანგული „ეკიპი" ლეონარდს, ჯონსონსა და ინგლისელთა უპირველეს მექულე ჯონი უილკინსონს ესაუბრა და თავის ვებგვერდზე მათი ეს კომენტარები გამოაქვეყნა*



### მარტინ ჯონსონი

— ეს მსოფლიოს თასი ჩვენთვის ბებრებისთვის ნაკრებიდან ტრიუმფით წასვლის ბოლო შანსია. ამიტომაც მეტოქეთა დანდობა არ იქნება. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ. სხვა შედეგის გაგონებაც არ გვინდა.

ექვსი ერის მოგებამ, ავსტრალიასთან და ახალ ზელანდიასთან მოპოვებულმა გამარჯვებებმა ნაკრებს მეტი სიამაყე და ამბიცია შესძინა. ამიტომაც ავსტრალიაში დიდი შემართებითა და ამბიციებით მივდივართ.



### ჯეისონ ლეონარდი

— პირველად ნაკრების მაისურა 1990 წელს არგენტინული ტურნეს დროს ჩავიცვი. მაშინ გუნდები ცოტა ტესტ-მატჩებს თამაშობდნენ, ამიტომ ვფიქრობდი, რომ მაქსიმუმ 30-ჯერ მეთამაშა ნაკრების შემადგენლობაში, რაც დიდი მიღწევა იქნებოდა. თანაც 1992 წელს კისრის მძიმე ტრავმა მივიღე და კინაღამ საერთოდ დავემშვიდობე რაგბის. ჩემთვის ეს მსოფლიოს თასი უკანასკნელი იქნება. ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ მისი მოგება მსურს. ცოტაა ისეთი მორაგბე, ვისაც მსოფლიოს თასის აწევის შესაძლებლობა მისცემია.



### ჯონი უილკინსონი

ჯონსონისა და ლეონარდისგან განსხვავებით, მას ყველაფერი წინ აქვს, მაგრამ იგი არ აპირებს კიდევ ოთხი წლით ლოდინს. ინგლისის 23 წლის საუკეთესო მორაგბეს სამხრეთ აფრიკასთან და საქართველოსთან თამაშის შემდეგ 50 კეპი დაუგროვდება. ჯონის ახლაც მწარედ ახსოვს წინა მსოფლიოს თასზე მისიანების უიღბლობა. მაშინ იგი 19 წლის ბიჭი იყო...

— 1999 წელს ჯგუფში ახალ ზელანდიასთან, ხოლო ნახევარფინალში სამხრეთ აფრიკასთან წაგება ძალიან განვიცადე. თანაც ამ ორ მატჩში ძირითად შემადგენლობაში ვერ მოვხვდი. ჩემს ადგილზე პოლ გრეისონი თამაშობდა. ბიჭებს ვერაფრით დავეხმარე. ამჯერად აღარ მინდა, ოთხი წელი სინანულისა და ტკივილის ძლიერი გრძნობა ვატარო და მომდევნო მსოფლიოს თასს დაველოდო. ჩვენი ერთადერთი მიზანი მსოფლიოს თასის მოგებაა.

## ურუგვაი ავსტრალიელით გაძლიერდა

**მსოფლიოს თასზე** საქართველოს ნაკრების იმ მეტოქემ, ვისთანაც ჩვენები მოსაგებად ითამაშებენ — ურუგვაიმ, მწვრთნელთა შტაბი გააძლიერა.

ურუგვაის რაგბის კავშირმა საგანგებოდ მსოფლიოს თასისთვის ავსტრალიელი კონსულტანტი პოლ ჰილი დაიქირავა. მორაგბეობისას ჰილი უკანახაზელი იყო. როგორც ურუგვაელი ჟურნალისტები იუწყებიან, ჰილი სამხრეთელებს დაცვაში თამაშს დაახვეწინებს და ამასთან უკანახაზს გაწვრთნის.

ავსტრალიელ სპეციალისტს, რომელიც ამჟამად სამშობლოშია, უკვე გადაეგზავნა ურუგვაის მატჩების ვიდეოფირები, რათა მწვანე კონტინენტზე ჩასულ გუნდს მომზადებული დახვდეს — უკვე ეცოდინება, რაზე მოუწევს მუშაობა.

ურუგვაის ნაკრები ამ კვირაში მსოფლიოსთასისწინა პრესკონფერენციას გამართავს, სადაც ახალი მაისურების პრეზენტაციაც მოეწყობა. თვის ბოლოს კი „თეთრ-ცისფრები" ავსტრალიაში ჩაფრინდებიან.

## საგინესო კომბინაცია: 5 500 პასი

**ამ უქმეებზე** მონტობანის სარაგბო კლუბს 100 წელი შეუსრულდა. კლუბის უფროსობამ ამ იუბილეს აღსანიშნავად ორიგინალური რამ მოიფიქრა. ქალაქის ქუჩებში 5500 კაცი ერთ რიგად ჩამწკრივდა და ამ ცოცხალმა ჯაჭვმა ოვალური ბურთი „ჩაათამაშა". პირველი პასი საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა გააკეთა, ხოლო ბოლო პასი საფრანგეთის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა ბერნარ ლაპესემ მიიღო. სულ მიჯრით 5500 პასი გაკეთდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ეს უჩვეულო მოვლენა გინესის რეკორდების წიგნში შესულიყო. რეკორდბურთს კი საფრანგეთის ნაკრები ავსტრალიაში მსოფლიოს თასზე თილისმად წაიღებს.



# ფრენკ ბრუნო აიჭრა









**ამ უქმეებზე** ჩელმისფორდის სულიერ ავადმყოფთა კლინიკაში გააქანეს მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი მძიმე წონაში ფრენკ ბრუნო, რომელმაც თავის დროზე ეს ტიტული ოლივერ მაკკოლს აართვა უემბლიზე კრივით.

ბრუნო საკუთარი, სამოცდაათაკრიანი ესექსური მამულიდან წაიყვანა სასწრაფომ და პოლიციამ, რომელიც ექიმებმა გამოიძახეს სამსაათიანი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, რომ ბრუნო მათ წაჰყოლოდა. თავად სასწრაფო კი მოკრივის მოსამსახურეებმა იხმეს, ვინაიდან საბრალო გოლიათის სულიერი მდგომარეობა გამოუვლად დაინახეს.

ბრუნოს აქამდეც სტანჯავდა დეპრესია, რომელიც განქორწინების შემდეგ დაეწყო და ეს დეპრესია მას მეტად უცნაურ რამეებს აკეთებინებდა. 41 წლის მოკრივე ხან რას ჩაიცმევდა, ხან რას, ხანაც უემბლის რინგზე დაძინებას ითხოვდა, იქ გამიშალეთ ლოგინიო, ხანაც, თავისი მამულის ყველაზე მივარდნილ ადგილას შეიმალებოდა, თავს ყველაზე დაცულად აქ ვგრძნობო.

არადა, მისი საკარიერო საქმეები რინგსგარეთაც კარგად აეწყო. ის შოუ ბიზნესის სახედ ითვლებოდა და პოპულარულ საბავშვო სერიალ ალადინში ჯინის როლს ასრულებდა.

ტაისონისგან ნაგვემი რინგს შვიდი წლის წინ გამოეთხოვა და მალიმალ ამბობდა ხოლმე, უნდა ვიჩხუბოო. ორდლი ჰარისონს მზადყოფნა შეუთვალა და იმანაც მოუგო, როცა მოგინდეს, მაშინ ვიკრივოთო. ერთი ხანობა აცხადებდა, ლენოქს ლუისს ქამრისთვის შევეტოქებიო, მაგრამ ლენოქსმა თქვა, მირჩევნია 50 ათასი ვაჩუქო და მის ჯანმრთელობას არაფერი ვავნოო.

ყველა კაი ნაცნობისა და მისივე დის მოწმობით, ბრუნოს არევა მის ოჯახური ვითარების ბრალია. ორი წლის წინ მას ცოლი ლაურა გაშორდა და 20 წლის ნიკოლა, 16 წლის რეიჩელი და 7 წლის ფრანკლინი თავისთან წაიყვანა.

ლაურას ვექილებმა ათმილიონიანი საოჯახო თანხიდან ფრენკს ზუსტად ნახევარი აართვეს.

ბრუნო კაი ჯენტლმენი და მშვენიერი მეოჯახე კაცი იყო და შვილებთან განშორებამ მეტად დაალონა, თუმცა ამ ზაფხულს ერთი მეგობრისთვის უთქვამს, ეს როგორ გამოვიდა, რომ ჩემი ნაოფლარი ფული წამართვეს, ვექილები ხომ მეც მყავდაო.

„ადამიანები კარგები არიან, მაგრამ ცუდ საქმეებს აკეთებენ ხოლმე", ესეც ბრუნოს სიტყვებია.

ახლა კი ორმა ექიმმა და ერთმა საზოგადოებრივმა დამკვირვებელმა უნდა გადაწყვიტონ, დატოვებენ თუ არა ყოფილ ჩემპიონს კლინიკაში.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

# ნაზი ჩემპიონი



**ერთი ოქრო**, სამი ვერცხლი და ორიც ბრინჯაო — ასეთია ყმაწვილ ქართველ მოჭადრაკეთა მონაგარი სერბეთ-ჩერნოგორიულ ბუდვაში დასრულებულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე.

ჩვენებიდან ევროპის ჩემპიონი თავის ტოლებში 10 წლის ნაზი პაიკიძე გახდა. მან პირველი ტურიდანვე ყოჩაღად დაიწყო, ლიდერობა მოიპოვა და აღარც გაუშვია ხელიდან. ბოლო, მეცხრე ტურამდე თავის უახლოეს მდევარს ერთი ქულით უსწრებდა და ჩემპიონობისთვის ნახევარი ქულაც ჰყოფნიდა, თუმც ნაზიმ მაინც ვაჟკაცურად იბრძოლა, ის საბოლოო პარტიაც მოიგო და ჩემპიონატი რვა ქულით დაასრულა.

ოქრომდე სულ მცირე დააკლდათ 14 წლის თორნიკე სანიკიძეს და 16 წლის დავით მაღალაშვილს. თავ-თავიანთ ტურნირებში ორივემ ჩემპიონების მსგავსად 7-7 ქულა მოაგროვა, თუმც დამატებითი კოეფიციენტებით მხოლოდ საპრიზო ადგილებს დასჯერდნენ. თორნიკეს ვერცხლი ერგო, დავითს — ბრინჯაო.

გოგონებში ვერცხლისმედალოსნები გახდნენ: 14-წლიანებში მირანდა მიქაძე და 16-წლიანებში მაკა ფურცელაძე. ორივემ 7-7 ქულა დააგროვა და მხოლოდ ნახევარი ქულა დააკლდათ ჩემპიონობამდე.

12 წლის სოფიკო გურამიშვილი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. ჩემპიონატი სოფიკომ კარგად დაიწყო, საწყისი ოთხი პარტია მოიგო, თუმც შემდეგ ორი დასანანი მარცხი იწვნია და ამიტომ დასჯერდა მესამე ადგილს.

ზემოთ ჩამოთვლილი პრიზიორთა გარდა, ბუდვაში კიდევ ხუთი ქართველი ასპარეზობდა.

10 წლის ვაჟებში ნოდარ ლორთქიფანიძე 6 ქულით მე-13 ადგილზე გავიდა, თორმეტიანებში ზვიად ფაცია და დავით ლომსაძე, შესაბამისად, მე-14 და 25-ე პოზიციაზე, თოთხმეტწლიანებში გიორგი მარგველაშვილი მე-9-ეზე და ყველაზე უფროს, თვრამეტწლიანებში მალხაზ სულაშვილი 28-ეზე.

**ლუშა ბეგეჭკორი**





# კობა გოგოლაძე ჩრდილოამერიკულ ქამარზე იჩხუბებს

**ამერიკაში** 27 სექტემბრის საღამოს, თბილისში კი 28-ის დილას, მიჩიგანის შტატში, სოლტ-სენტ-მერის „ქივადინ კაზინოში" ქართველი პროფესიონალი მოკრივე კობა გოგოლაძე მე-11 ბრძოლას გამართავს. მისი მეტოქე 23 შეხვედრის ჩამტარებელი მანუელ სედეტა იქნება. გამარჯვებული კი ჩრდილოეთ ამერიკის ორგანიზაციის ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს.

სედეტას ანგარიშზე 15 მოგება, 3 ფრე და 5 წაგებაა. 6-ჯერ მეტოქე ნოკაუტით დაამარცხა. მართალია, კობა გოგოლაძეს მოწინააღმდეგეზე ერთით ნაკლები ნოკაუტი აქვს, მაგრამ მისგან განსხვავებით აქამდე ერთხელაც არ დამარცხებულა.



VUELTA A ESPAÑA 03 — ვუელტა 2003 6 - 28 სექტემბერი

## ფელიქს! ჩვენ კარგად ვართ. შენ როგორ ხარ?

# მოიგე, რა!

**კოლუმბიელი** ფელიქს კარდენასი საშუალო გაქანების მრბოლებს განეკუთვნება და მსოფლიო რეიტინგში სადღაც მესამე ათეულშია. იმის გამო, რომ კოლუმბიაში ველოსპორტისთვის არავის სცალია, ფელიქსი ესპანეთში ვარჯიშობს და იქაურ ტრასებს მეტნაკლებად იცნობს. ალბათ ეს ნაცნობობა დაეხმარა მას, მე-16 ეტაპზე ისეთი ესპანელებისთვის გაესწრო, ოსკარ სევილია და რობერტო ერასი რომ არიან. აღარაფერს ვამბობთ ხუან მერსადოზე, ვინც სიერა ნევადას მთების კალთებზე დაბადებულ-გაზრდილია და იქაურობას ხუთი თითივით იცნობს.

— რბოლის წინ ახლობელ-ნათესავებმა დამირეკეს და მითხრეს, რომ მეზობლებიანად მიქომაგებდნენ. კოლუმბიაში ველოსპორტს ვინ დაეძებს, ხალხს ოჯახის შენახვა უჭირს და ჩემი წარმატება დიდი სტიმული იქნება იმ თითო-ოროლა. ბიჭუნასთვის, ვინც ველომრბოლობაზე ოცნებობს — ეს უზომოდ გახარებული კარდენასის სიტყვებია.

სხვაფრივ, მე-16 ეტაპმა ისე ჩაიარა, საერთო ჩათვლის ლიდერთან ისიდრო ნოსალთან მდევრებმა სხვაობის შემცირება კი არა, გაზრდა „მოახერხეს". ჰოდა, თუ ნოსალს რაიმე ხიფათი არ შეხვდა, ლიდერის ყვითელ მაისურას ვუელტას ბოლომდე არ გაიხდის.

**XVI ეტაპი 23 სექტემბერი**
**ხაენი - სიერა ნევადა 162 კმ**



REUTERS

1 **ფელიქს კარდენასი (კოლუმბია, კაფეს ბაკე) 4 სთ 9 წთ 35 წმ**
2 **ხუან მერსადო (ესპანეთი, იბანესტო) + 5 წმ**
3 **ოსკარ სევილია (ესპანეთი, კელმე) + 18 წმ**
4 **ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კელმე) იგივე დრო**
5 **ლეონარდო პიეპოლი (იტალია, იბანესტო) + 21 წმ**



# შუმახერი კუდის მოქნევას აპირებს

## იმ კუდის, მონტოია და რაიკონენი რომ ასხედენ







ხუან-პაბლო მონტოია და კიმი რაიკონენი მიხაელ შუმახერს ტახტს ეცილებიან

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**კვირას** ინდიანაპოლისში წლევანდელი საფორმულო ჩემპიონატის ბოლოსწინა, მე-15 ეტაპი გაიმართება: „ინდიანაპოლის მოტორ სპიდვეის" ლეგენდარულ ავტოდრომზე აშშ-ის დიდი პრიზი გათამაშდება.

სადღეისოდ იმგვარი სატურნირო ვითარებაა, რომ მიხაელ შუმახერმა შესაძლოა უკვე ამერიკაში ვადამდე გაინაღდოს მეექვსე საჩემპიონო ტიტული. მაგრამ კონკურენტები ცხრილში ისე ახლოს მიჰყვებიან, არაა გამორიცხული, სულაც უგვირგვინოდ დარჩეს — კოლუმბიელი ხუან-პაბლო მონტოია შუმის სამი ქულით ჩამორჩება, ფინელი კიმი რაიკონენი შვიდით.

მიუხედავად იმისა, როგორ დასრულდება წლევანდელი სეზონი „წითელი ბარონისთვის" — ტრიუმფით თუ ხელმოცარვით, 34 წლის შუმახერი ჯერ სულაც არ აპირებს „სამეფო რბოლების" მიტოვებას. სწორედ ამ საკითხზე გაამახვილა მან ყურადღება გერმანულ „ზიუდდოიჩე ცაიტუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ინდიანაპოლისი თუ „სუძუკა"? რომელი იქნება შუმისთვის ბედნიერი ტრასა და მე-6 საჩემპიონო ტიტულის მომტანი? მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ დიდმა გერმანელმა თავისი მეექვსე ტრიუმფი საგაისოდ გადადოს, რაკი მას სულ უფრო ახლოს ესმის მონტოიას და რაიკონენის ბოლიდების ძრავის ხმაური. ხუთგზის ჩემპიონმა კარგად უწყის, რომ დარჩენილ ეტაპებზე მონტოიასთან და რაიკონენთან საფორმულე ომი ექნება და ამას არც მალავს: „დარწმუნებული ვარ, მაგარი ჯახი გვექნება. ხუან-პაბლო და კიმი დიდ რისკზე წავლენ, რომ გამასწრონ. ამ ჯოჯოხეთში ის გაიმარჯვებს, ვისაც ნერვების მეტი სიმტკიცე აღმოაჩნდება".

ის, რომ რაიკონენი და მონტოია შუმახერს კუდზე ასხედან, მას ნაკლებად აღელვებს, პირიქით, ამან მოტივაცია დაუბრუნა და ისიც მოუთმენლად ელის დარჩენილ რბოლებს: „ადრე რამდენიმე ეტაპით ადრე ვხდებოდი ჩემპიონი და ბოლოსკენ ვალის მოსახდელად გავდიოდი ტრასაზე, ახლა კი ხუან-პაბლოსთან და კიმისთან მეტოქეობამ რბოლის ხალისი დამიბრუნა. ჩემთვის ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი ჩემთან სიახლოვე".

მიხაელს კარგად ესმის, რომ შორს არაა ის დღე, როცა მონტოია და რაიკონენი მას ჩემპიონობას შეეცილებიან. იგი კარგა ხანია, შეეგუა ამ აზრს, მაგრამ იმის გაგონებაც არ უნდა, რომ ეს დღე მალე დადგება.

ამ ბოლო დროს ხშირად ამბობენ, რომ შუმახერი მომავალი სეზონის შემდეგ ფორმულას თავს მიანებებს და ტრასისგარეთა საქმეებით დაკავდება. თავად მრბოლი ამას კატეგორიულად უარყოფს: „არსად არ მივდივარ და უახლოესი სამი წელი ისევ ვირბოლებ და სანამ ვინმე ძალიან არ გამიმასპინძლდება, ბოლიდიდან არ ამოვალ. ეს კი ჯერ ნამდვილად არ მოხდება, ამაში დარწმუნებული ვარ. მერე მივალ „ფერარის" შეფებთან და დავეთხოვები. ჩემთან ერთად „ფერარიმ" ოთხი კონსტრუქტორული და სამი პირადი ჩემპიონობა მოიპოვა. მე დავიწყე ეს დიდი ერა და ამას არავის დავამალავ. ჩემს შემდეგ ამ ერას ღირსეული გამგრძელებელი დასჭირდება".

# ნიკოლსონ შოუ

ლოს ანჯელესის ზეპურ საგოლფო კლუბში ამ დღეებში სახელიანი ტურნირი მიმდინარეობს. ტურნირის მიზანი ამერიკის კინოინსტიტუტისთვის თანხების შეგროვებაა. ამ კეთილ საქმეში ჯეკ ნიკოლსონიც გარეულა და შემოჯარულ ფოტოკორესპონდენტებს თავის ჯადო ღიმილით ატყვევებს.



REUTERS

# პოლიტბურთაობა

გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრიოდერი და პოლონეთის პრემიერ-მინისტრი ლეშეკ მილერი რაგინდარა ორმხრივი თუ ევროპრობლემების განსახილველად მაინცდამაინც გელზენკირხენის „შალკე-04"-ის სტადიონზე შეიყარნენ. საუბრამდე პოლიტიკოსებმა ბურთიც გააგორეს — შრიოდერს ეს უკეთესად გამოუვიდა.



REUTERS




REUTERS

# პარამედალი და ცხენი




გაისად ათენში ორი ოლიმპიური თამაშებაა. ჩვეულებრივი და პარა, ანუ ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონეთა. მრავალთა გულთამპყრობელმა ქალმა და იმავდროულად ოლიმპიადის დაისახლისმა იანა ანგელოპულოსმა და საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ფილ კრავენმა ახლახან პარათამაშების მედალი და ემბლემა წარმოადგინეს ხალხის სამსჯავროზე. ემბლემაზე გამოსახულ არსებას პროტეასი ჰქვია და წყალცხენაა, რაც მის შემქმნელებს ძალისა და ჟინის სიმბოლოდ ჩაუფიქრებიათ. მედალს კი, მოგეხსენებათ, ორი მხარე აქვს. ერთზე აკროპოლისის ხედია, მეორეზე კი შეჯიბრის სახელწოდებაა ამოტვიფრული ბერძნული და ბრაილის შრიფტებით.



# სპილოპოლო




REUTERS

მესპილოეთა ორი გუნდი გვარიანად გრძელი ყვანჯებით დასდევს პაწაწინა ბურთს ბანგკოკის მიდამოებში და ამ თამაშს პოლო ჰქვია. სახელები, ცხადია, თავად გუნდებსაც აქვთ. შავმაისურიანები „ლუტუნებად და სპილოებად" იწოდებიან, ხოლო თეთრები „მეფის ჰუსარები" გახლავან. ბრძოლა სამეფო თასისთვის გაჩაღებულა და ამ ორის გარდა მასში სხვა ათი გუნდიც მონაწილეობს. კეთილი, მხედრებს რაღაც მიზანი აქვთ, თასი უნდათ, მაგრამ სპილოებს რაღა რჯით? ჰო, „ჰუსარებმა" 9:7 მოიგეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ჰამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხრიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge